დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო წინსვლის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თალიკო ჯაყელი

წევრები:

დალი თურმანიძე -(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
მაია მერაბიშვილი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
მარიამ ლეკიაშვილი-(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
სოფიკო მჭედლიშვილი-(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ნატალია შაინიძე -(ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ტოლია კილასონია - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
ილონა აკობია - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
მაკა ყიფშიძე -(მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
თამარ ზედგინიძე -(სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
ვერა სომხიშვილი-(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248386731

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო წინსვლა
საფოსტო ინდექსი	6400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi-admin.emis.ge/dashboard
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Ztsinsvla@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	555284478

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 9 26 0000210166, 24.02.2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 06 და 07 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო წინსვლა (ერთი)
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო წინსვლა (ერთი)
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო წინსვლა (ერთი)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლის შეფასების პროცესმა ჩაიარა საქმიან, კონსტრუქციულ და მშვიდ ვითარებაში. დაწესებულებაში ვიზიტამდე, Teams -ის პლატფორმაზე ავტორიზაციის ჯგუფის წევრებთან კომუნიკაციისათვის შეიქმნა ონლაინ-სივრცე, სადაც ექსპერტებისთვის გაზიარებულ იქნა სკოლის თვითშეფასების განაცხადი და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სკოლამ შექმნა ყველა პირობა პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის, გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა, გამოყო სივრცე შეხვედრებისთვის, განრიგის შესაბამისად ორგანიზებულად შეგვახვედრა თანამშრომელებთან, მშობლებთან და საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს; საგნობრივ ექსპერტებს ყველა პირობა ჰქონდათ გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, განხილულ იქნა კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების საკითხები, ასევე ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ დეტალური პასუხები ცალკეულ ინდიკატორებთან მიმართებით.

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის პროცესში მონაწილეობა მიიღო დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა. ის გაეცნო სკოლის მიერ გადმოგზავნილ მასალებს, საავტორიზაციო ვიზიტის დროს მონაწილეობა მიიღო დაწყებითი საფეხურის პედაგოგების ინტერვიურების პროცესში. ინტერვიუს დროს დააზუსტა საკითხები, რომლის შესახებაც სიღრმისეული ინფორმაცია სჭირდებოდა და ასახა დასკვნაში

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლის გამორჩეული პრაქტიკაა გუნდური მუშაობა და თანამშრომლობის მაღალი ხარისხი. სკოლა გამოირჩევა პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური და სპორტული თამაშების დაგეგმვითა და განხორციელებით. ეს ყველაფერი სასკოლო ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანს, სახალისოს, საინტერესოსა და სასიამოვნოს ხდის. ასეთი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში.სწავლა/სწავლების პროცესზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებასა და თემში არსებული ტენდენციები, ტრადიციები, შეხედულებები, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის მდგრადობას. სკოლაში შექმნილი სოციო-კულტურული სივრცე ხელს უწყობს, რომ ყველა წევრმა თავი იგრძნოს ამ სივრცის განუყოფელ ნაწილად; სკოლის ასეთი მიდგომები დადასტურდა მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების დროსაც. აღსანიშნავია სკოლის სისტემური მიდგომა ინკლუზიური განათლების მიმართულებით;

სკოლა გამოირჩევა სპორტული ტრადიციებით: ტარდება შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, მხიარული სტარტები მასწავლებლებთან ერთად; მიღწეული წარმატებები დადასტურებულია მოპოვებული თასებითა და სიგელებით, რომლებიც გამოფენილია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობას ღებულობენ მეზობელი სკოლების მოსწავლეებიც; სკოლაში ხორციელდება პროექტები, კონკურსები, ღონისძიებები, რომლებშიც აქტიურადაა ჩართული ყველა საგნობრივი კათედრა; სკოლის გამორჩეულ წარმატებულ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები და კლუბური მუშაობები; სკოლამ გაიმარჯვა განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში და წარმატებით ფუნქციონირებს STEAM-კლუბი. STEAM კლუბური მუშაობის ფარგლებში შექმნილი თვალსაჩინო მასალა გამოფენილია კლუბისათვის გამოყოფილ სივრცეში; სკოლა აქტიურად მონაწილეობს ნიკო კევხოველის სახელობის საგანმანათლებლო პროექტში, წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას და აჭარის რეგიონის მასშტაბით, ვიზიტის დროისათვის, მეორე რეიტინგულ პოზიციაზე იყო. სკოლამ გაიმარჯვა აჭარის განათლების სამინისტროს მიერ ინიცირებულ კონკურსში: „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“, ორი პროექტი დაფინანსდა 1000 ლარიანი გრანტით ხელოვნებასა და მუსიკაში, მოსწავლეები ჩართული არიან ამ პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებში და ქმნიან შესაბამის საგანმანათლებლო პროდუქტს; სკოლამ მონაწილეობა მიიღო საკლუბო კონკურსში-„სასკოლო ბიბლიოთეკა“-მოიპოვა 2250 ლარიანი გრანტი,,რომელიც მოხმარდა მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურით ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებას; სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, სამოქალაქო კლუბი, კითხვის კლუბი სამივე საფეხურზე;

.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 160	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლამ, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადაში (01.04.2026—01.09.2026) უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზება;
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სკოლამ, მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (12.03.2025-15.09.2026), მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ, მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (15.09.2025-15.09.2026), უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული აღჭურვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად
ინდიკატორ 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლამ, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადაში (01.04.2026—01.09.2026) უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზება;
	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალ საფეხური)	
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა	სკოლამ, მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (15.09.2025-15.09.2026), უზრუნველყოს საბუნებისმეტყველ

	უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	ლაბორატორიის სრული აღჭურვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნების შესაბამისად, კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოებ ჩასატარებლად
ინდიკატორ 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსი	სკოლამ, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადაში (01.04.2026—01.09.2026) უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზება;

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი 4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	სასურველია, სკოლამ პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის საკითხები სრულყოფილად ასახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადამრიგებლო პროგრამებსა და საგნობრივ კურიკულუმებში; სასურველია, კარიერული წინსვლის ღონისძიებებს მისცენ სისტემატური, გეგმიური ხასიათი;
ინდიკატორი 4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	სასურველია, სკოლამ მომსახურების გაუმჯობესების პროცესში დეტალურად გაითვალისწინოს გაწეული მუშაობის შეფასების შედეგები

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** დაწყებითი საფეხურის ზოგიერთ კურიკულუმში სავალდებულო / სარეკომენდაციო თემების ნაცვლად ჩაწერილია სახელმძღვანელოს თავების დასახელებები. შესაბამისი კლასის სავალდებულო თემების დასაზუსტებლად შეგიძლიათ მიმართოთ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების სტანდარტს. თქვენ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ცხრილში ჩაასწორეთ სვეტში დასახელებით „თემა“ თემების დასახელება (ნუ გავაიგივებთ სახელმძღვანელოს თავების დასახელებებთან). სახელმძღვანელოს თავის დასახელება კი შეგიძლიათ გადაიტანოთ სვეტში „საკითხი/საკითხთა კლასტერი“, იმ საკითხებთან, რომლებიც ამ თავში განიხილება. **სახელმწიფო ენა:**

		სასურველია, თემების ფორმულირებისას მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ საგნობრივ სტანდარტში მოცემული სარეკომენდაციო თუ სავალდებულო თემატური ბლოკებითა და თემებით და არა მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოების პარაგრაფებით, რადგან პარაგრაფში მოცემული ფორმულირება ყოველთვის არ გამოხატავს სასწავლო თემის შინაარსს. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმში აისახოს ის დაგეგმილი საგნობრივი თუ სოციალური პროექტები, რომელთა იდეებიც პედაგოგებმა გაგვაცნეს. მიზანშეწონილია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს სახელმწიფო ენის კათედრისთვის პროფესიული მხარდაჭერა(ტრენინგი, ვებინარი და სხვა) პროექტების დაგეგმვა-განხორციელებასა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენა-წარმოებაში. **ტექნოლოგიები:** სასურველია ყველა კლასში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში მრავალფეროვანი რესურსებისა და დავალებების გამოყენება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული
ინდიკატორი 2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საგან „მე და საზოგადოების“, „ჩვენი საქართველოს“, ისტორიის კურიკულუმის ჩარჩოებში მოხდეს საკითხების შინაარსობლივი ნიშნით დაჯგუფება/ გაერთიანება. ასევე დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება; ასევე განისაზღვროს და დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებების ქვეცნებები. ცნებები

		და ქვეცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად. **მათემატიკა:** ა). მათემატიკის შემოქმედებითი დავალების ბარათებსა და მატრიცებში ძველი სამიზნე ცნებები დასაკორექტირებელია ახალი სამიზნე ცნებებით. ბ). IV, V,VI კლასის კურიკულუმებში თემების დასახელებები დასაზუსტებელია სტანდარტიდან. გ).I, II,III, IV კლასის კურიკულუმებში დასამატებელია სავარაუდო საათობრივი განაწილება თემების მიხედვით.
ინდიკატორი 2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერკურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საგან გეოგრაფიის კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას. **უცხოური ენები:** სასურველია, რომ უცხოური ენების კათედრამ გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი რესურსები, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებზე. ამასთანავე, სასურველია, კონტექსტ მაგალითის გრაფაში მითითებული იყოს კონკრეტული რესურსი

		(მაგალითად: ესეს მოდელი, ტექსტი, ბროშურა და სხვ.), რომელიც მოსწავლეს დაეხმარება კონკრეტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში. **მათემატიკა:** V, VI კლასის კურიკულუმებში სასურველია მითითებული იყოს კონკრეტული თემების შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოდან. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** კურიკულუმში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. მიეთითოს გამოყენებული ბმულების კონკრეტული დასახელება
2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საგან გეოგრაფიაში წარმოდგენილი იყოს ინდ. სასწავლო გეგმა/გეგმები. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კურიკულუმში აისახოს, გარდა საბოლოო დავალების არჩევანის შეთავაზებისა, საეტაპო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისას დიფერენცირების რა სტრატეგიებს იყენებენ მასწავლებლები ტიპური განვითარების მოსწავლეებთან.
2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საგან გეოგრაფიაში წარმოდგენილი იყოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან.ასევე შერჩეული კომლექსური დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ასევე, სასურველია ჩვენი საქართველოსა და ისტორიის მიერ წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო

		კონკრეტულად იყოს მორგებული დავალებების ტიპზე და მიზნებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, შეფასების სისტემა უკეთ ასახავდეს მოსწავლის ინდივიდუალურ ზრდას, შემოქმედებით წვლილს და ჩართულობას; **უცხოური ენები:** მნიშვნელოვანია, რომ კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა შესასწავლი თემის ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რომ მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება. **ესთეტიკური აღზრდა:** სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეიქმნას კონკრეტულ თემაზე მორგებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც შეფასების ინდიკატორებად გამოტანილი იქნება საგნის სტანდარტის შედეგებით მისაღწევი ინდიკატორები, გრძელვადიანი სამიზნე ცბებები და ქცეცნებები, რომლებიც კონვერტირებული იქნება შესაბამის ქულებთან ან განმავითარებელ უკუკავშირთან, რის საფუძველზე მოსწავლე გაიგებს სად აქვს მიღწევა და სად პრობლემა **სახელმწიფო ენა:** შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის მოთხოვნები უნდა ჩამოყალიბდეს უფრო მარტივი, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი სიტყვებით, იყოს კონკრეტული, მაქსიმალურად ფოკუსირებული შესასწავლ საკითხზე, შესასრულებელ ამოცანაზე. შემოქმედებითი ბუნების დავალებების შეფასების რუბრიკაში კი მკაფიოდ უნდა იკითხებოდეს ამავე დავალების მოთხოვნები.

		მათემატიკა: სასურველია შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი/განმსზაღვრელი) შემუშავებული იყოს ყველა თემის ფარგლებში, ისე რომ მიზნად ისახავდეს სამიზნე ცნებების დამუშავებასა და გააზრებას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეულ შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი.
2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**უცხოური ენები:** მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მიუთითოთ საათობრივი განაწილება თითოეულ თემასთან მიმართებით. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.
2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** ბუნების შეფასების რუბრიკა 4 კლასი - განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნისას მეტად იხელმძღვანელონ ესგ და ბუნებისმეტყველების სტანდარტით და რუბრიკა დაზუსტდეს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად, კონკრეტული თემისა და საკითხების გათვალისწინებით.

		საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო კონკრეტულად იყოს მორგებული დავალებების ტიპზე და მიზნებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, შეფასების სისტემა უკეთ ასახავდეს მოსწავლის ინდივიდუალურ ზრდას, შემოქმედებით წვლილს და ჩართულობას, რაც გაზრდის შეფასების სამართლიანობასა და სანდოობას. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია სკოლამ განმსაზღვრელი შეფასების რუბრუკები ხელოვნებასა და მუსიკაში გაწეროს ესგ საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, სადაც მკაფიო იქნება თემებში ამა თუ იმ ცნების მნიშვნელობა **სახელმწიფო ენა:** სასურველია, ყველა საგანში აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია, ყველა საგანში აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.
ინდიკატორი 2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საგან გეოგრაფიის კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე

		ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** კურიკულუმებში აისახოს ის რესურსები, რომლებსაც იყენებენ ამა თუ იმ საკითხის შესაბამისად.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების* საბაზო *საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**სახელმწიფო ენა:** სასურველია, თემების ფორმულირებისას მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ საგნობრივ სტანდარტში მოცემული სარეკომენდაციო თუ სავალდებულო თემატური ბლოკებითა და თემებით და არა მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოების პარაგრაფებით, რადგან პარაგრაფში მოცემული ფორმულირება ყოველთვის არ გამოხატავს სასწავლო თემის შინაარსს. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმში აისახოს ის დაგეგმილი საგნობრივი თუ სოციალური პროექტები, რომელთა იდეებიც პედაგოგებმა გაგვაცნეს. მიზანშეწონილია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს სახელმწიფო ენის კათედრისთვის პროფესიული მხარდაჭერა(ტრენინგი, ვებინარი და სხვა) პროექტების დაგეგმვა-განხორციელებასა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენა-წარმოებაში.

ინდიკატორი 2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია ისტორიის კურიკულუმის ჩარჩოებში მოხდეს საკითხების შინაარსობლივი ნიშნით დაჯგუფება/ გაერთიანება. ასევე დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება; ასევე განისაზღვროს და დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებების ქვეცნებები. ცნებები და ქვეცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად. **მათემატიკა:** ა). მათემატიკის შემოქმედებითი დავალების ბარათებსა და მატრიცებში ძველი სამიზნე ცნებები დასაკორექტირებელია ახალი სამიზნე ცნებებით. ბ).VIII,XI კლასის კურიკულუმებში თემების დასახელებები დასაზუსტებელია სტანდარტიდან. გ).VII,.IX კლასის კურიკულუმებში დასამატებელია შემოქმედებითი დავალებები;
ინდიკატორი 2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყპფს მოსწავლის მიერკურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საგან გეოგრაფიის კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას. **უცხოური ენები:**

		სასურველია, რომ უცხოური ენების კათედრამ გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი რესურსები, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებზე. ამასთანავე, სასურველია, კონტექსტ მაგალითის გრაფაში მითითებული იყოს კონკრეტული რესურსი (მაგალითად: ესეს მოდელი, ტექსტი, ბროშურა და სხვ.), რომელიც მოსწავლეს დაეხმარება კონკრეტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში.
2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**სახელმწიფო ენა:** სასურველია, კურიკულუმში აისახოს, გარდა საბოლოო დავალების არჩევანის შეთავაზებისა, საეტაპო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისას დიფერენცირების რა სტრატეგიებს იყენებენ მასწავლებლები ტიპური განვითარების მოსწავლეებთან.
2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საგან გეოგრაფიაში წარმოდგენილი იყოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან.ასევე შერჩეული კომლექსური დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ასევე, სასურველია ჩვენი საქართველოსა და ისტორიის მიერ წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო კონკრეტულად იყოს მორგებული დავალებების ტიპზე და მიზნებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, შეფასების სისტემა უკეთ ასახავდეს მოსწავლის ინდივიდუალურ ზრდას, შემოქმედებით წვლილს და ჩართულობას; **უცხოური ენები:**

		მნიშვნელოვანია, რომ კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა შესასწავლი თემის ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რომ მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება. **ესთეტიკური აღზრდა:** სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეიქმნას კონკრეტულ თემაზე მორგებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც შეფასების ინდიკატორებად გამოტანილი იქნება საგნის სტანდარტის შედეგებით მისაღწევი ინდიკატორები, გრძელვადიანი სამიზნე ცბებები და ქცეცნებები, რომლებიც კონვერტირებული იქნება შესაბამის ქულებთან ან განმავითარებელ უკუკავშირთან, რის საფუძველზე მოსწავლე გაიგებს სად აქვს მიღწევა და სად პრობლემა **სახელმწიფო ენა:** შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის მოთხოვნები უნდა ჩამოყალიბდეს უფრო მარტივი, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი სიტყვებით, იყოს კონკრეტული, მაქსიმალურად ფოკუსირებული შესასწავლ საკითხზე, შესასრულებელ ამოცანაზე. შემოქმედებითი ბუნების დავალებების შეფასების რუბრიკაში კი მკაფიოდ უნდა იკითხებოდეს ამავე დავალების მოთხოვნები. **მათემატიკა:** სასურველია შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი/განმსზაღვრელი) შემუშავებული იყოს ყველა თემის ფარგლებში, ისე რომ მიზნად ისახავდეს სამიზნე ცნებების დამუშავებასა და გააზრებას.

2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**უცხოური ენები:** მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მიუთითოთ საათობრივი განაწილება თითოეულ თემასთან მიმართებით.
2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო კონკრეტულად იყოს მორგებული დავალებების ტიპზე და მიზნებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, შეფასების სისტემა უკეთ ასახავდეს მოსწავლის ინდივიდუალურ ზრდას, შემოქმედებით წვლილს და ჩართულობას, რაც გაზრდის შეფასების სამართლიანობასა და სანდოობას. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია სკოლამ განმსაზღვრელი შეფასების რუბრუკები ხელოვნებასა და მუსიკაში გაწეროს ესგ საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, სადაც მკაფიო იქნება თემებში ამა თუ იმ ცნების მნიშვნელობა **სახელმწიფო ენა:** სასურველია, ყველა საგანში აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.
ინდიკატორი 2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საგან გეოგრაფიის კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის

		საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლისმოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების* საშუალო *საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**სახელმწიფო ენა:** სასურველია, თემების ფორმულირებისას მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ საგნობრივ სტანდარტში მოცემული სარეკომენდაციო თუ სავალდებულო თემატური ბლოკებითა და თემებით და არა მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოების პარაგრაფებით, რადგან პარაგრაფში მოცემული ფორმულირება ყოველთვის არ გამოხატავს სასწავლო თემის შინაარსს. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმში აისახოს ის დაგეგმილი საგნობრივი თუ სოციალური პროექტები, რომელთა იდეებიც პედაგოგებმა გაგვაცნეს. მიზანშეწონილია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს სახელმწიფო ენის კათედრისთვის პროფესიული მხარდაჭერა(ტრენინგი, ვებინარი და სხვა) პროექტების დაგეგმვა-განხორციელებასა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენა-წარმოებაში.
ინდიკატორი 2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია ისტორიის კურიკულუმის ჩარჩოებში მოხდეს საკითხების შინაარსობლივი ნიშნით დაჯგუფება/ გაერთიანება. ასევე დაკონკრეტდეს,

		რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება; ასევე განისაზღვროს და დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებების ქვეცნებები. ცნებები და ქვეცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად. **მათემატიკა:** ა). მათემატიკის შემოქმედებითი დავალების ბარათებსა და მატრიცებში ძველი სამიზნე ცნებები დასაკორექტირებელია ახალი სამიზნე ცნებებით. ბ)XI კლასის კურიკულუმებში თემების დასახელებები დასაზუსტებელია სტანდარტიდან.
ინდიკატორი 2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერკურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საგან გეოგრაფიის კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას. **უცხოური ენები:** სასურველია, რომ უცხოური ენების კათედრამ გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი რესურსები, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებზე. ამასთანავე, სასურველია, კონტექსტ მაგალითის გრაფაში მითითებული იყოს კონკრეტული რესურსი (მაგალითად: ესეს მოდელი, ტექსტი, ბროშურა და სხვ.), რომელიც მოსწავლეს დაეხმარება კონკრეტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საგან გეოგრაფიაში წარმოდგენილი იყოს ინდ. სასწავლო გეგმა/გეგმები. **სახელმწიფო ენა:** ასურველია, კურიკულუმში აისახოს, გარდა საბოლოო დავალების არჩევანის შეთავაზებისა, საეტაპო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისას დიფერენცირების რა სტრატეგიებს იყენებენ მასწავლებლები ტიპური განვითარების მოსწავლეებთან.
2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საგან გეოგრაფიაში წარმოდგენილი იყოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან.ასევე შერჩეული კომლექსური დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ასევე, სასურველია ჩვენი საქართველოსა და ისტორიის მიერ წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო კონკრეტულად იყოს მორგებული დავალებების ტიპზე და მიზნებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, შეფასების სისტემა უკეთ ასახავდეს მოსწავლის ინდივიდუალურ ზრდას, შემოქმედებით წვლილს და ჩართულობას; **უცხოური ენები:** მნიშვნელოვანია, რომ კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა შესასწავლი თემის ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რომ

		მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება. **ესთეტიკური აღზრდა:** სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეიქმნას კონკრეტულ თემაზე მორგებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც შეფასების ინდიკატორებად გამოტანილი იქნება საგნის სტანდარტის შედეგებით მისაღწევი ინდიკატორები, გრძელვადიანი სამიზნე ცბებები და ქცეცნებები, რომლებიც კონვერტირებული იქნება შესაბამის ქულებთან ან განმავითარებელ უკუკავშირთან, რის საფუძველზე მოსწავლე გაიგებს სად აქვს მიღწევა და სად პრობლემა **სახელმწიფო ენა:** შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის მოთხოვნები უნდა ჩამოყალიბდეს უფრო მარტივი, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი სიტყვებით, იყოს კონკრეტული, მაქსიმალურად ფოკუსირებული შესასწავლ საკითხზე, შესასრულებელ ამოცანაზე. შემოქმედებითი ბუნების დავალებების შეფასების რუბრიკაში კი მკაფიოდ უნდა იკითხებოდეს ამავე დავალების მოთხოვნები. **მათემატიკა:** სასურველია შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი/განმსზაღვრელი) შემუშავებული იყოს ყველა თემის ფარგლებში, ისე რომ მიზნად ისახავდეს სამიზნე ცნებების დამუშავებასა და გააზრებას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. შეფასების კრიტერიუმები

		მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეულ შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი.
2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**უცხოური ენები:** მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მიეთითოს საათობრივი განაწილება თითოეულ თემასთან მიმართებით.
2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო კონკრეტულად იყოს მორგებული დავალებების ტიპზე და მიზნებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, შეფასების სისტემა უკეთ ასახავდეს მოსწავლის ინდივიდუალურ ზრდას, შემოქმედებით წვლილს და ჩართულობას, რაც გაზრდის შეფასების სამართლიანობასა და სანდოობას. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია სკოლამ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ხელოვნებასა და მუსიკაში გაწეროს ესგ საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, სადაც მკაფიო იქნება თემებში ამა თუ იმ ცნების მნიშვნელობა **სახელმწიფო ენა:** სასურველია, ყველა საგანში აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.
ინდიკატორი 2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საგან გეოგრაფიის კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ

	რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ სკოლას გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტი, რომლის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გამოხატა თანხმობა დასკვნის პროექტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მტკიცებულებებით; ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლა ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს და ითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში; სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით განხორციელებულია ღონისძიებები შემდეგი ინდიკატორების დასაკმაყოფილებლად:

- სკოლას 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში არ ჰქონდა განსაზღვრული თუ რა ფინასური, მატერიალური და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფდა კონკრეტული აქტივობების განხორციელებას, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 1.2.1.4-ის** მოთხოვნებს:

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია;
სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის რედაქტირებული ფორმა, საიდანაც ჩანს, რომ სკოლამ დააკონკრეტა თუ რა ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას; განხორციელებული ცვლილებები დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით: დანართი #1, რედაქტირებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სამეურვეო საბჭოს ოქმი N 7

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია

- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების მარეგულირებელი დოკუმენტში აღწერილია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის (მტუკ-ის) თანამდებობის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები, თუმცა, სკოლაში ვიზიტით დადგინდა, რომ სკოლას საშტატო განრიგში არ აქვს გათვალისწინებული აღნიშნული თანამდებობა და არც შესაბამისი თანამშრომელი ჰყავს, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 3.1.1.1- ის** მოთხოვნებს:

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების მარეგულირებელი დოკუმენტის რედაქტირებული ფორმა, რომელშიც მოცემულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია/მოვალეობების აღწერილობა;

განხორციელებული ცვლილებები დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით: დანართი #2 (სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, ბრძანება 01-03/18)

ინდიკატორ 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში არ არის აღწერილი დროებით არ მყოფი თანამშრომლის ჩანაცვლების მექანიზმი, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 3.1.2.2- ის** მოთხოვნებს:

სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის რედაქტირებული ფორმა, რომელშიც განხორციელებული ცვლილებების მიხედვით დაზუსტებულია დროებით არ მყოფი თანამშრომლის ჩანაცვლების მექანიზმი
განხორციელებული ცვლილებები დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით: დანართი #3 (ჩანაცვლების წესი, სამეურვეო საბჭოს ოქმი N 7)

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია

- სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების უმრავლესობას არ აქვთ წარმოდგენილი შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ცნობა ნასამართლობის შესახებ;

  სკოლის მიერ 2025-2026 ს/წ გამოცხადებული ვაკანსიის შედეგად მიღებულ სამოქალაქო განათლების მასწავლებელს არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ცნობა უფლების შეზღუდვის შესახებ, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 3.1.2.3- ის მოთხოვნებს:**

პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა დანართი №4, რომლის მიხედვითაც სკოლის მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ცნობები ნასამართლობის შესახებ; ასევე წარმოდგენილია 2025/2026 ს/წ ხელშეკრულებით მიღებული სამოქალაქალაქო განათლების მასწავლებლის ცნობა უფლების შეზღუდვის შესახებ;

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია

- ხელშეკრულების საფუძველზე სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელს სამოქალაქო განათლებაში არ აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია (საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის მოთხოვნა), რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 3.1.2.4-ის** მოთხოვნებს:

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის აპრილიდან სექტემბრამდე სკოლა გეგმავს სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადებას, საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნას, კონკურსის ეტაპების განხორციელებას და შერჩეულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას

ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია

სკოლას არ წარმოუდგენია შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმ, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 3.4.1.1-ის** მოთხოვნებს:

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგემის მიხედვით, სკოლა განსაზღვრულ ვადებში (12.03.2025-15.09.2026) გეგმავს მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

ინდიკატორ 3.4.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია

- ხელშეკრულების საფუძველზე სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელს სამოქალაქო განათლებაში არ აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია სწავლების საბაზო და საჩუალო საფეხურზე (საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის მოთხოვნა), რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 2.2.2.4-ის** მოთხოვნებს:
  სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის აპრილიდან სექტემბრამდე სკოლა გეგმავს სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადებას, საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნას, კონკურსის ეტაპების განხორციელებას და შერჩეულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას

ინდიკატორი 2.2.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია

- სკოლას არ აქვს კანონმდებლობის მიხედვით სრულად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია კვლევითი და ლაბორატორიული სამუშაოებისათვის სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორი 2.2.2.3-ის** მოთხოვნებს:

კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით სკოლა განსაზღვრულ ვადებში (15.09.2025-15.09.2026), უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულ აღჭურვას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე

ინდიკატორი 2.2.2.3 მეტწილ შესაბამისობაშია

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმისა და მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიცია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს და შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.
ზემო წინსვლის საჯარო სკოლის **მისიაა** მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლების მიცემა, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა.
სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვის მიხედვით, 2032 წლისათვის სკოლა იქნება რეგიონის მასშტაბით ერთ-ერთი მოწინავე და აღიარებული თანამედროვე მიდგომებზე დაფუძნებული ხარისხიანი განათლების მიწოდებითა და უსაფრთხო , დიფერენცირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნით;
სკოლის ღირებულებებია : უსაფრთხოება, ხარისხიანი განათლება, თანამედროვე მიდგომების დანერგვა , პოზიტიური თანამშრომლობითი დამოკიდებულება, გამჭირვალობა მიუკერძოებლობა, ობიექტურობა განვითარება და ინოვაციურობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიისა და ხედვის ტექსტის მიხედვით, ასევე ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ სკოლა ცდილობს შექმნას უსაფრთხო და აკადემიურად გამართული თანამედროვე სასწავლო გარემო კვალიფიციური კადრების მოზიდვითა და ინფრასტრუქტურის განვითარებით, შეინარჩუნოს დაწესებულებაში არსებული ტრადიციები და გააძლიეროს ის ახალი იდეებითა და ინოვაციური მიდგომებით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობითა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით გამოიკვეთა , რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობდნენ როგორც სკოლის პედაგოგები, ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრები: მშობლები, მოსწავლეები, თემის წარმომადგენლები. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში მონაწილე პირები განისაზღვრა სკოლის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნულმა ჯგუფმა ერთობლივად შეიმუშავა დოკუმენტის პროექტი, რომლის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები; საჭიროებები დაადგინეს სპეციალურად შექმნილი კითხვარის დახმარებით. აღნიშნულმა ჯგუფმა შედგენილი დოკუმენტის პროექტი გაუზიარა და გააცნო დაინტერესებულ ჯგუფებს, მათ შორის პედაგოგიურ საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ვიზიტის პერიოდში სკოლის საქმიანობაზე დაკვირვებით, ასევე გასაუბრებით აშკარად გამოიკვეთა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის თანამშრომლები პედაგოგიურ საბჭოსა და საგნობრივი კათედრების სხდომებზე სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვისას ეცნობიან სკოლის ფილოსოფიას,ხოლო კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს და მშობლებს აცნობენ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების დროს, როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ კომუნიკაციის საშუალებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ავტორიზაციის განხორციელების მომენტისთვის სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები ფართო ფორმატის ფურცელზე ამობეჭდილი და გაკრული იყო სკოლის ფოიეში . ასევე სკოლამ, სამინისტროს მხარდაჭერით, შექმნა ვებგვერდი, სადაც ატვირთულია სკოლასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, მათ შორის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შესაბამისობაშია კანონმდებლობით დაწესებულ ტერმინთან, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის # 448 ბრძანებასთან. სკოლასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტში სკოლა მოიხსენება, როგორც:

„ სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლა“

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 1

- 1.სტრატეგიულის მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება 2025
- 2.სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- 3. სამუშაო ჯგუფის ოქმი N1 : ფილოსოფიის პროექტის შემუშავებაზე და დირექტორზე წარდგენა
- 4. საკოლო საზოგადოებისათვის სკოლის ფილოსოფიის და სტარტეგიული გეგმების გაცნობის ოქმი (1) (2)
- 5. სკოლის მისია
- ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი (1)
- მშობელთა კითხვარი (1) (2)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს სასკოლო საზოგადოების ჩართვის და მათი პრიორიტეტების გათვალისწინების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ხდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვითა და SWOT- ანალიზით.
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი, ასევე, განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი (2025-2032 წწ.) და წარმოადგენს განვითარებაზე ორიენტირებულ, ციკლურ დოკუმენტს. გეგმა სრულად ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, რაც ქმნის ერთიანი სასკოლო ფილოსოფიის საფუძველს. სტრატეგიულ გეგმაში დეტალურადაა გაწერილი სკოლის განვითარების ძირითადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები, რომლებიც მისიასთან თავსებადია; სულ გამოყოფილია 8 სტრატეგიული მიზანი, რომელიც წლების მიხედვით ჩაშლილია შესაბამის ამოცანებად;

1. სწავლა სწავლების ხარისხის ამაღლება;
2. სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული საკითხების განვითარებ;;ა
3. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შევსება ,არსებულის შენარჩუნება;
4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
6. მოსწავლეთ მხარდაჭერა;
7. ადამიანური რესურსის განვითარება;
8. არაფორმალური განათლების გაძლიერება;

გეგმის ციკლურობა და მდგრადობა უზრუნველყოფილია პერიოდული გადახედვისა და წლიური მონიტორინგის მექანიზმებით. სკოლის სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს- სამეურვეო საბჭოს მიერ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული აქვს ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის მიდვით უზრუნველყოფს მასში გათვალისწინებული პუნქტების შესრულებას 2025-2026 სასწავლო წლისათვის. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სამაურვეო საბჭოს მიერ;
2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები და აქტივობები, რომლებიც სრულ შთაბეჭდილებას ქმნის პროცესებისა და საქმიანობის დაგეგმვის თვალსაზრისით. აღნიშნული გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრული მიზნებიდან, დაზუსტებელია კონკრეტული აქტივობები რა რესურსით განხორციელდება;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმა გაწერილია 2025-2026 სასწავლო წელზე. მასში განსაზღვრული აქტივობები გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, გეგმის შესრულების გაზომავდი მექანიზმები და ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები; რესურსების გრაფაში სკოლას დაკონკრეტებული აქვს თუ რა ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 2, N 3

- მშობელთა-მოსაწვევი-ბარათი
- ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი
- ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2025-2032
- 2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სტრუქტურული ერთეულები
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტი მოიცავს სკოლის სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რომლებიც მოცემული დოკუმენტის მე-11 მუხლშია აღწერილი. ამ მარეგულირებელი დოკუმენტის გარდა, სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგისა და შეფასების წესი. სკოლის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს დირექტორის სამართლებრივი აქტით დაშვებული სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფი. მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს **სამოქმედო გეგმის** შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. დოკუმენტში მოცემულია მონიტორინგისა და შეფასების ცხრილი, სადაც სტრატეგიული მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების გასწვრივ მითითებულია მათი შესრულების დონეები: შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა. ცხრილის საშუალებით თვალსაჩინო ხდება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები; შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 (სამ) წელიწადში (შესაბამისი პერიოდის) და 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ (შემაჯამებელი), ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. ვიზიტის დროისათვის სკოლას განხორციელებული ჰქონდა სამოქმედო გეგმის შესრულების ნახევარი წლის მონიტორინგი, რომლის შედეგებიც ასახული ჰქონდათ შესაბამის დოკუმენტში. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის /სამი წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს მათ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით. სტრატეგიული განვითარების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, თუ რამდენად ხორციელდება სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სკოლა სისტემატურად ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, რაც მეთოდოლოგიით განსაზღვრულ პერიოდულობას ეფუძნება:შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 (სამ) წელიწადში (შესაბამისი პერიოდის) და 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ (შემაჯამებელი), ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ აქტივობების შესრულების აღრიცხვაზე, არამედ მათი ეფექტიანობის სიღრმისეულ შეფასებაზე. მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის სისტემაში ინტეგრირებულია უკუკავშირის მექანიზმები, რაც საშუალებას აძლევს სკოლას, გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების — მოსწავლეების, პედაგოგებისა და მშობლების — მოსაზრებები. დოკუმენტაციის შესწავლისას (მშობელთა კრებისა და საბჭოების ოქმები) იკვეთება, რომ სკოლა ასევე თანამშრომლობს სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ადგილობრივ ხელისუფლებასთან და საგანმანათლებლო ადმინისტრაციასთან. მიღებული უკუკავშირი გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისა და საჭიროების შემთხვევაში, გეგმებში დროული კორექტირებების შესატანად. სკოლის მიერ წარმოდგენილი მრჩეველთა, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების ოქმები ადასტურებს, რომ სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესი არის გამჭვირვალე და დაფუძნებულია მრავალმხრივ კომუნიკაციაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს ატარებს მეთოდოლოგიის დოკუმენტში მითითებული სტრუქტურული ერთეული. აღნიშნული საკითხი რეგულირდება „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით“, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების ვალდებულებასა და მექანიზმებს.ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ ამ ეტაპზე სტრატეგიული მიზნების მიღწევისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შედეგები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ინფორმაციის გაზიარება ხდება პერიოდული შეხვედრების, საბჭოების სხდომებისა და ანგარიშების წარდგენის გზით. სკოლას გააზრებული აქვს საჯაროობის მნიშვნელობა ინსტიტუციური ნდობის გაძლიერებისთვის და სამომავლოდ გეგმავს ამ პროცესის კიდევ უფრო მეტად გაფართოებასა და გაციფრულებას, რათა შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს უფრო ფართო დაინტერესებული მხარეებისთვის. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას გეგმის განხორციელების შედეგების შეფასება

ხდება სტრუქტურული ერთეულების მიერ. სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენის საშუალებებად მიჩნეულია, ასევე, პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრების სხდომები

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები განიხილება სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. დამსწრე საზოგადოების აზრის მოსმენის შემდეგ კი ისახება პროცესების შემდგომი განვითარების ხელშემწყობი აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032 წწ)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 ს/ წ)
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- 4.ერთწლიანი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგისა და შეფასების რუბრიკა
- 5.მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ოქმი
- პედსაბჭოს ოქმები;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, თვითშეფასების კითხვარისა და ვიზიტის მიხედვით, სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები. აღნიშნულ სტუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პირების ფუნქციები ძირითადად ეყრდნობა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შინაარსს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შინაარსსა და „ეროვნული სასაწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შინაარსს. დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები დაზუსტებულია თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ფუნქცია-მოვალეობების აღმწერ დოკუმენტში და თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით: თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები. სტრუქტურულ ერთეულებსა და პერსონალს შორის მოვალეობების დიფერენცირება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან და გამჭვირვალე მართვას.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის (პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვ.) და პერსონალისთვის (მაგალითად, ბიბლიოთეკარი) შემუშავებულია შესაბამისი დებულებები და სამუშაო აღწერილობები. აღნიშნული დოკუმენტები, თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებთან ერთად, ქმნის ვალდებულებების შესრულების მკაფიო სისტემას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები.
- სკოლის შინაგანაწესი;
- საშტატო განრიგი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი 1
- კათედრის დებულება
- პედსაბჭოს ოქმი1
- პედსაბჭოს ოქმი2
- კათედრის დებულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესი ეფუძნება სისტემურ მიდგომას, რაც დასტურდება „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის არსებობით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის სტრატეგიულ ხედვას პერსონალის მართვის მიმართულებით და უზრუნველყოფს პროცესების შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლის პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ სკოლა ზრუნავს არა მხოლოდ პედაგოგიური პერსონალის, არამედ სხვა თანამშრომლების განვითარებაზეც. მათი საჭიროებების იდენტიფიცირება ხდება მრავალმხრივი მიდგომით, რაც გულისხმობს შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვებასა და თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას. პერსონალის მართვის ასეთი პოლიტიკა ქმნის მყარ საფუძველს სკოლის ინსტიტუციური განვითარებისთვის, რამდენადაც იგი მიმართულია ადამიანური კაპიტალის გაძლიერებასა და სამუშაო

პროცესების ეფექტიანობის ზრდაზე.წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის გამჭვირვალე და განვითარებაზე ორიენტირებული სისტემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელშიც მუხლობრივად გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და სტრატეგიები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები და ღირებულებები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლი სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება და მართვის ციკლი, მასწავლებელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა და შეფასება, შრომითი ხელშეკრულებების დადება და გაწყვეტა. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; სკოლაში ჩაცმულობის წესი და ა.შ. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირები იცნობენ ერთმანეთის ფუნქცია-მოვალეობებს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საქმიანობის შეთავსება. დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილია დროებით არ მყოფი თანამშრომლის ჩანაცვლების მექანიზმები;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში თანამშრომლების მიღება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას სკოლა განათავსებს https://teacherjobs.ge/ პლატფორმაზე. კანონის შესაბამისად ცხადდება ვაკანსია, იქმნება კომისია და, საკონკურსო ეტაპების გავლის შემდეგ (დოკუმენტაციის გადარჩევა, გასაუბრება), ხდება მოთხოვნათა შესაბამისად კვალიფიციური კადრის შერჩევა. 2025-2026 ს/წ სკოლამ კონკურსის საფუძველზე აიყვანა სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, შერჩევის პროცესი მიმდინარეობდა გამართულად, კანონმდებლობის დაცვით. ვაკანსიით აყვანილ მასწავლებელს ამ ეტაპისთვის არ აქვს საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული, თუმცა გადის მასწავლებელთა პროფესიული მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. სკოლის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ შსს-ს მიერ გაცემული ცნობა ნასამართლობისა და ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის

შესახებ. 2020 წლიდან სკოლაში დასაქმებულ თანამშრომლებს ძირითადად წარმოდგენილი აქვს შსს-ს მიერ გაცემული ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ; სკოლის მიერ 2025-2026 ს/წ გამოცხადებული ვაკანსიის შედეგად მიღებულ მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ, **როგორც ამას ითვალისწინებს** საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ "საქართველოს კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის პირობებს, რომლის მიხედვითაც დამსაქმებლმა აღნიშნული დოკუმენტი დასაქმებამდე უნდა მოითხოვოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის ადამიანური რესურსი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების სტაბილურობას. მასწავლებლის შერჩევა და დასაქმება ხორციელდება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების მოთხოვნათა სრული დაცვით. სკოლას, ასევე, შემუშავებული აქვს სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად აქვთ გაწერილი თითოეული პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები; დღეისათვის სკოლაში დასაქმებულია 23 მასწავლებელი, რომელთაგან 18 მასწავლებელს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო 4 მასწავლებელი არის წამყვანი. გარდა პედაგოგიური პერსონალისა, სკოლა უზრუნველყოფილია დამხმარე ტექნიკური პერსონალით, რაც აუცილებელია სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და უსაფრთხოებისათვის. კერძოდ, სკოლას ჰყავს ექთანი, ცეცხლფარეში, ორი დარაჯი და ორი დამლაგებელი. თითოეულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები კანონმდებლობის დაცვით. სკოლაში პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ დასაქმებულთა უმრავლესობის კვალიფიკაცია შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებსა და სკოლაში დაკავებულ თანამდებობას. თუმცა ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ სკოლას არ ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებელი სამოქალაქო განათლებაში; სკოლამ განმარტა, რომ ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დროებით იმყოფება ერთწლიან შვებულებაში. სკოლამ ისტორიის საათები კათედრის შიგნით გადაანაწილა, ხოლო სამოქალაქო განათლების საათებზე გამოაცხადა ვაკანსია; კონკურსში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა აპლიკანტმა, რომლესაც არ აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია ამ მიმართულებით; აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო განათლების მასწავლებელი პარალელურად გადის მასწავლებელთა პროფესიული მომზადების 60 -კრედიტიან პროგრამას; სკოლის ადმინისტრაციასა და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებელი კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე და აქვს გარკვეული წარმატებები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის აპრილიდან სექტემბრამდე სკოლა გეგმავს სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადებას, საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნას, კონკურსის ეტაპების განხორციელებას და შერჩეულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას

ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ სკოლის მუშაობა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც თავლშისაცემი იყო დაწესებულებაში ვიზიტისას. სასკოლო გეგმის შემუშავება ხორციელდება გუნდურად, კათედრების ჩართულობით და გადაწყვეტილებაც მიიღება გუნდურად, თუმცა ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დააფიქსიროს თავისი აზრი. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს ჩატარებული გაკვეთილებისა და განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია, ასევე აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში სკოლის თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია და სკოლის ატმოსფერო იყო ძალიან პოზიტიური და თანამშრომლობაზე ორიენტირებული

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის დებულების მიხედვით, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მუშაობენ ერთობლივ პროექტებზე, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთმანეთს აძლევენ სიტყვიერ რეკომენდაციებს. აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესში ცალკე პუნქტებია გამოყოფილი თანამშრომლების წარმატების აღიარებისა და დაჯილდოებისთვის. მასწავლებლების წახალისება და დაჯილდოება სკოლაში ჩვეულებრივი პრაქტიკაა. სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები აღიარებული იყოს და გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და თემს, წარმატების გაზიარება ხდება ასევე შემდეგი მექანიზმების გამოყენებით: სკოლის სოციალური ქსელები და სკოლის ვებგვერდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები.
2.სკოლის შინაგანაწესი;
3.საშტატო განრიგი;
4.შრომითი ხელშეკრულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომელთა სამუშაოს შეფასებას, მათი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირების მიზნით. განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, მეთოდები და ეტაპები; სკოლაში პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების დადგენის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს ასევე ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ის აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მიზნით. მის მოვალეობაში შედის სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ხარისხის განვითარების ჯგუფი ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, გასცემს უკუკავშირს და რეკომენდაციებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლა ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ ზრდაზე. ეს ხდება როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების საშუალებით, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში ცდილობს ხელი შეუწყოს მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში, დაადგინოს მათი საჭიროებები და საჭიროებების გადაჭრის გზა/გზები. სკოლაში შემუშავებულია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გრაფიკი კათედრების მიხედვთ, გაკვეთილის შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, დროულად აწვდის ინფორმაციას სიახლეების და ცვლილებების შესახებ მასწავლებლები რეგისტრირდებიან და ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ სავალდებულო ტრენინგებს. პედაგოგები ეცნობიან სწავლების ახალ მიდგომებს/მეთოდებს და ნერგავენ საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელთა მიერ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა ძირითადად მიმართულია სწავლა-სწავლების უფრო მეტად სრულყოფაზე, გამრავალფეროვნებაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა , რომ სკოლა მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის აქტიურად იყენებს საერთო სასკოლო პროექტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა სოციალიზაციის საკითხები „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით“. თანამშრომელთა ადაპტაციის ნაწილს წარმოადგენს მისი წინასწარი მოლოდინები, შეხვედრები და პირველი სამი თვის მანძილზე ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში სოციალიზაციის პერიოდი, რაც გუნდში ინტეგრაციას ემსახურება. სკოლა თანამშრომელს ეხმარება გაეცნოს დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს თანამშრომლობას ახალ და გამოცდილ კოლეგებს შორის, აცნობს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს, რთავს გუნდურ აქტივობებში;

სოციალიზაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობისათვის დიდი როლი ენიჭება კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით, სკოლა მხარს უჭერს მასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც გამოიხატება როგორც სკოლის შიგნით განსახორციელებელი აქტივობებით, , ასევე სკოლის გარეთ. ინიციატივების წახალისების მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში;.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
2. შინაგანაწესი;
3. ცნობები ტრენინგების გავლის შესახებ;

4. ინტეგრირებული და სამოდელო გაკვეთილების მასალები;
5. სასკოლო და საკლასო პროექტების მასალები;
6. მასწავლებელთა შრომის წახალისების ფორმა;
7. გაკვეთილის შეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სისტემურ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანხვედრას დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი „ხარისხის მართვის დოკუმენტი“ აგებულია უწყვეტი განვითარების ციკლურ პრინციპზე (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე), რაც სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტის მუდმივ გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ამ დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით,

რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა)სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება;
ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა;
გ) შემოწმების განხორციელება (არაგეგმიური შემოწმება)
დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი;
ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება;

ამ ეტაპების განხორციელების შემდეგ, ხარისხის მართვის სამსახური ადგენს დასკვნას და წარუდგენს შესაბამის ორგანოს;
აღსანიშნავია, რომ .საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის კონტროლისა და მხარდაჭერის მიზნით შექმნილი ხარისხის განვითარების ჯგუფი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესებში, რომლის მთავარი მიზანი სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლება და განვითარებაა; ჯგუფი ესწრება საგაკვეთილო პროცესს, აკვირდება, იძლევა შეფასებებს და უკუკავშირს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს პედაგოგთა პასუხისმგებლობა სასწავლო შედეგების ანალიზის მიმართ; მასწავლებლები ახდენენ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების რეფლექსიას და ანალიზს წარუდგენენ საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებს. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს სწავლების ხარვეზების დროულ იდენტიფიცირებას და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ინტერვენციების დაგეგმვას.
ამრიგად, სკოლაში არსებული მართვის პოლიტიკა და პროცედურები ქმნის ერთიან, მართვად სისტემას, რომელიც სრულად პასუხობს სკოლის მიერ დეკლარირებულ საგანმანათლებლო პრიორიტეტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, სისტემურად არის იდენტიფიცირებული და აღწერილი ყველა მნიშვნელოვანი პროცესი. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არის გამიჯნული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრების ორგანიზებულ მიმდინარეობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ თითოეული მმართველი რგოლისა და პოზიციისთვის შემუშავებულია ფუნქციური მოვალეობები. კერძოდ, განსაზღვრულია დირექტორის, დირექტორის მოადგილის, სამეურვეო საბჭოს, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარისა და მასწავლებლის ვალდებულებები. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ეს როლი პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება სკოლის მთავარ მიზანს — ხარისხიანი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პროცესების მართვის სამართლებრივ გამართულობას შესაბამისი დებულებების დამტკიცებითა და თანამშრომლებისთვის მათი გაცნობით. კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ასეთი დეტალური აღწერა და

გადანაწილება ხელს უწყობს პასუხისმგებლობების მკაფიო იდენტიფიცირებას, რაც გამორიცხავს ფუნქციურ გადაფარვებს და აძლიერებს სკოლის მმართველობით რგოლებს შორის კოორდინაციას.

ამრიგად, სკოლაში არსებული პროცესების აღწერა და მართვის სტრუქტურა სრულად შეესაბამება დაწესებულების საგანმანათლებლო პრიორიტეტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც შინაგანაწესთან ერთად ქმნის საჩივრების განხილვის სისტემას. სკოლაში დასაქმებული პირების და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია სკოლასა და ამ უკანასკნელთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესით ხელი ეწყობა სასკოლო საზოგადოების უფლებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებასა და უფლებების დაცვას. თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი დასაქმებულის უფლებები. მშობელთა ინფორმირებულობა განისაზღვრება სადამრიგებლო პროგრამებით და ხელშეკრულებით. შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდება მშობლის ინფორმირებულობის ვალდებულება , სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი და საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. ხელშეკრულებები;
3. სასკოლო-სასწავლო გეგმა;
4. სადამრიგებლო პროგრამები;
5. მოსწავლეთა მიღებისა და შეფასების წესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

სკოლას შემუშავებული აქვს „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია", რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების განვითარების ძირითად პრინციპებს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და ეტაპები, რაც მართვის პროცესს ხდის პროგნოზირებადს და გამჭვირვალეს. უკუკავშირისა და რეაგირების მექანიზმები: სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შეთანხმების პროცესი ხორციელდება სამეურვეო საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. განხილვის ეტაპზე ხდება უკუკავშირის მოსმენა და რაციონალური წინადადებების გაზიარება, რაც ადასტურებს, რომ სკოლაში მოქმედებს ორმხრივი კომუნიკაციის ეფექტური სისტემა. სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა: სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების წევრთა ერთობლივი მონაწილეობა ხაზს უსვამს მართვის დემოკრატიულ სტილს. პროცესი, რომელიც მოიცავს დოკუმენტის საჯარო განხილვასა და სამეურვეო საბჭოზე დამტკიცებას, უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინებას სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით. სტრატეგიული დოკუმენტები ხელმისაწვდომია და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, რაც ხელს უწყობს ნდობის მოპოვებას და ზრდის პასუხისმგებლობას საერთო სასკოლო მიზნების მიღწევაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია და პრაქტიკული საქმიანობა (საბჭოების სხდომები, განხილვები) ადასტურებს, რომ სკოლის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების რეალური ჩართულობა და უკუკავშირის მექანიზმები ქმედითია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს. სკოლაში ფუნქციონირებს ყველა სავალდებულო რგოლი, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესის დემოკრატიულობას. საგნობრივი კათედრების მუშაობაში ჩართულია ყველა მასწავლებელი, რაც ხელს უწყობს აკადემიური საკითხების კოლეგიურ გადაწყვეტას. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეურვეო საბჭოს აქტიური როლი, რომლის შემადგენლობაშიც პროპორციულად არიან წარმოდგენილნი მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. საბჭო უფლებამოსილია განიხილოს, შეათანხმოს ან/და დაამტკიცოს სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტები, რაც ადასტურებს მათ რეალურ გავლენას სკოლის მართვაზე. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს მინიჭებული შესაძლებლობა და რესურსი, აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, გამოხატოს მოსწავლეთა ინტერესები და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სასკოლო აქტივობების დაგეგმვაში. სკოლაში არსებული ინსტიტუციები (კათედრები, საბჭოები) თავიანთი ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპების მონიტორინგსა და მხარდაჭერას. ეს მიდგომა ხელს უწყობს საერთო პასუხისმგებლობის გადანაწილებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და

კოლეგიური ორგანოების მუშაობის პრინციპები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში შექმნილია ყველა პირობა სასკოლო საზოგადოების წევრთა აქტიური და ქმედითი ჩართულობისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. ხელშეკრულებები;
3. სამეურვეო საბჭოს ოქმი.
4. მრჩეველთა საბჭოს დებულება
5. თვითმმართველობის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლა ცდილობს შექმნას უსაფრთხო გარემო, რაც საშუალებას იძლევა შეფერხების გარეშე წარიმართოს სასწავლო პროცესი, ეს ეხება როგორც შენობის შიდა პერიმეტრს, ასევე სკოლის მიმდებარე ტერიტორიას. სკოლას არ ჰყავს მანდატური. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი მომზადების კურსი. სკოლის პერიმეტრი დაცულია 24 საათის განმავლობაში სკოლის დარაჯის მიერ (საშტატო განრიგით გამოყოფილია დარაჯის 2 შტატი). სკოლაში მოწესრიგებულია ეზო, კიბეები,ლიფტი, სისტემატურ რეჟიმში მიმდინარეობს მასწავლებელთა მორიგეობა, იკეტება სკოლის შემოსასვლელი ჭიშკარი.დამლაგებლები სისტემატურ რეჟიმში ამშრალებენ იატაკს;
სკოლაში დამონტაჟებულია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო კამერები, რომლებიც ვიზიტის დროს ჩართულ მდგომარეობაში იყო;

სკოლას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ჰქონდა აქტივობები უფლებამოსილი ორგანოების მიერ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოსაპოვებლად, ასევე, სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასადგენად;

სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ,საჯარო რეესტრიდან ამონაწერი და შენობა ნაგებობების და ნაკვეთის აზომვითი ნახაზი, სკოლის ორივე სართულის დერეფანში გამოკრულია სკოლის აზომვითი ნახაზის შესაბამისი საევაკუაციო გეგმა; 2026 წლის 12 მარტს სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი რესურსცენტრის უფროსთან შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან შუამდგომლობაზე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნის შესაბამისობის დადგენის მიზნით. სკოლის დერეფნებში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები შესაბამისი აღჭურვილობით, ცეცხლმაქრები დამუხტულ მდგომარეობაშია; სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია დაკვამლიანების დეტექტორები, ჭერი შეწამლულია ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით, სკოლას აქვს წყალმომარაგების უწყვეტი სისტემა;
ვიზიტის დროისათვის სკოლას არ ჰქონდა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაცემული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით გეგმის მოსაპოვებელი ვადა განისაზღვრება 15.09.2026 პერიოდამდე;

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო პერსონალი. სკოლამ რამდენჯერმე გამოაცხადა ვაკანსია ექიმის პოზიციაზე; შესაბამისი აპლიკანტისარ გამოცხადების გამო, განათლებისა და მეცნიერების , ასევე, საქართველოს ოკუპირებლი ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან შეთანხმებით, ვაკანტურ პოზიციაზე აყვანილია შესაბამისი კვალიფიკაციის ექთანი, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფუნქცია-მოვალეობებს. ექთანი რეგულარულად აწარმოებს მედიკამენტების გაცემის აღრიცხვის ჟურნალს (დღიურს). ჟურნალში ზუსტად ფიქსირდება დახმარების

გაწევის დრო და გაცემული პრეპარატის დასახელება, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კონტროლს. სკოლაში დანერგილია უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი — ნებისმიერი მედიკამენტის გაცემამდე ან სამედიცინო ჩარევამდე ხდება მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დაკავშირება და მისი წინასწარი ინფორმირება. შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექთანს. კაბინეტში არის მაცივარი ყინულისათვის, საკაცე, წყლის გამათბობელი და ნიჟარა; ექთანი აწარმოებს ყოველდღიურ ჟურნალს, რომელშიც ასახულია სამედიცინო კაბინეტში განხორციელებული ქმედებები; სათანადო უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად სამედიცინო კაბინეტში არსებული ტახტი შემოსაზღვრული ხელოვნური ბარიერით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად გამოყოფილია შესაბამისი პირები, გადანაწილებულია მოვალეობები. სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირებს და სკოლის დირექციას, ასევე ამ პროცესებში ჩართულია სკოლის 2 დარაჯი, დამრიგებლები და მორიგეები, რომლებიც მორიგეობის განრიგის მიხედვით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან გააკონტროლონ მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის 112--ნომრების შესახებ. სკოლაში დამონტაჟებულია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო კამერები . (საქ. განათლების მეცნიერებისა და სპორტის მინისტრის 29.01.2019 წლის 06/ნ ბრძანების 41-ე მუხლის მოთხოვნა)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლის მისიის, შინაგაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციათა აღწერებისა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან (დასაქმებული და მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსები ორიენტირებულია სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. აღნიშნულისთვის შემუშავებულია სხვადასხვა წესი და სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება არა ერთი საგანმანათლებლო აქტივობა. მასწვლებლები გასაუბრებისას ხშირად აკეთებდნენ აქცენტს მათთვის და მოსწავლეებისათვის პოზიტიური საგანმანათლებლო

გარემოს მნიშვნელობასა და მისი ჩამოყალიბების ხელშემწყობ მიდგომებზე. სადამრიგებლო პროგრამებით წარმოდგენილია კლასსათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე .სადამრიგებლო საათის დროს დამრიგებელი მოსწავლეებს აძლევს საშუალებას ისაუბრონ სხვადასხვა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე: როგორიც არის ოჯახური ძალადობა, ბულინგი-კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვთა ფსიქიკაზე.

მაგ.: მე- 5 კლასში განხორციელდა პროექტი სხვადასხვა სახის ბულინგის საწინააღმდეგოდ, მოსწავლეებმა პროექტის ფარგლებში გადაიღეს ბულინგის საწინააღმდეგო ვიდეო-რგოლები და გამართეს დებატები; სპეცმასწავლებელთან ერთად დაიგეგმა წიგნის განხილვა „თევზი ხეზე“ , რომელიც ბულინგის თემას ეხებოდა..მოსწავლეები ღიად საუბრობენ პრობლემებზე და ერთად ხდება პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება სხვადასხვა სახის ზალადობის პრევენციისათვი

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლის შენობის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია, რაც დასტურდება შესაბამის სუბიექტებთან დადებული ხელშეკრულებების შინაარსით. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებს სამი დამლაგებელი. პერსონალი უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარი, ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ სივრცეში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლას გააჩნია ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას პერსონალური ინფორმაციის დასაცავად, დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი პირი, ასევე განსაზღვრულია რესურსცენტრის მიერ დანიშნული პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება დაცულ ადგილას, რომელზეც წვდომა აქვს კონკრეტულ პიროვნებას. ასევე კონკრეტული პიროვნებაა პასუხისმგებელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მართვაზე. პეროსნალური ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ პირის თანხმობის შემთხვევაში. თითოეული მასწავლებელი და დამრიგებელი იცავს მოსწავლეთა პირადი მონაცემების კონფიდენციალობას. კვლევის პროცესებში, სასკოლო პროექტებში და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის, ფოტო სურათების გასაჯაროებისათვის მშობელთა თანხმობის შესახებ პუნქტი გაწერილია ხელშეკრულების ფორმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; მასწავლებლები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის. სკოლის კომპიუტერებში ჩატვირთულია ანტივირუსული პროგრამები. პირადი მონაცემები განთავსებულია eSchool -ის ბაზაში; საქმის წარმოებისთვის გამოიყენება სკოლის იმეილი Ztsintsvla @mes.gov.ge და Eflow. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში. ასევე საუბრები იმართება მშობლებთანაც. სკოლა მონაცემების შეგროვებას და დაცვას ახდენს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის სრული შესაბამისობით, რაც გაწერილია თანამშრომლებთან და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში და შინაგანაწესში.სკოლა იყენებს ყველა მექანიზმს ინფორმაციის დაცვისთვის.მნიშვნელოვანია, რომ სკოლას გააჩნია ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები, რომელიც ძირითადად მოიცავს:
პერსონალური ინფორმაციის დაცვას;
ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას;
დაცული ვებ-გვერდის გამოყენებას;
მშობლებისა და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის;

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებისთვის. საბჭოს ფორმატში ხდება სასკოლო საზოგადოებისგან მოსაზრებებისა და უკუკავშირის მიღება უსაფრთხო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც უზრუნველყოფს პროცესების მრავალმხრივ ანალიზს. წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოს ოქმები ადასტურებს, რომ სკოლა პერიოდულად განიხილავს უსაფრთხოების საკითხებს. დაწესებულებას აქვს მზაობა და დაგეგმილი აქვს მონიტორინგის სისტემის შემდგომი განვითარება, რათა მიღებული მონაცემები უფრო სისტემურად იქნას გამოყენებული არსებული მექანიზმების (საზოგადოებრივი წესრიგი, ჰიგიენა, მონაცემთა დაცვა) დასახვეწად. სკოლაში არსებული წესები (საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესები) ქმნის იმ ობიექტურ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც ხდება პროცესების შეფასება. აღნიშნული დოკუმენტაცია საფუძველს უყრის უსაფრთხოების პოლიტიკის უწყვეტ გაუმჯობესებას. სკოლის მიერ გამოხატული სტრატეგია — მონიტორინგის შედეგების გამოყენება სამომავლო გაუმჯობესებისთვის — მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულება ორიენტირებულია არა მხოლოდ ფორმალურ შესაბამისობაზე, არამედ უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტურობის რეალურ ზრდაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1ევაკუაციის გეგმა
2.უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება
3.შინაგანაწესი
4.სამედიცინო დახმარების პოლიტიკა
5.ექთნის დანიშვნის ბრძანება
6.ექთნის ვაკანტური ადგილის კომისიის ოქმი
7.ბრძანება პერსონალურ მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის სესახებ
8.სკოლის აზომვითი ნახაზი
9.მორიგეობის ცხრილი (2025/2026 ს/წ)
10. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სკოლა უზრუნველყოფს საგანანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სკოლას ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან სარგებლობის უფლებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლაში გადაცემული აქვს ფართი მასზე განთავსებული შენობა -ნაგებობით. სკოლა წარმოადგენს ორსართულიან ქვის კაპიტალურ, სრულად რეაბილიტირებულ შენობას. სკოლის ეზო შემოღობილია და ქუჩიდან გამოყოფილია რკინის ჭიშკრებით, ეზოში ბეტონის საფარია. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ოთხი საკლასო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, სრულად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი სცენით, განათებით, კონდენციონერით, კომფორტული სკამებითა და დეკორატიული ფარდებით, სპორტული ინვენტარით სრულად აღჭურვილი სპორტული დარბაზი კალათბურთის ფარებით, ფრენბურთის ბადითა და ფანჯრებზე გაკრულია დამცავი ბადეებით (სკოლას არ აქვს გარე სპორტული მოედანი), კეთილმოწყობილი რესურს-ოთახი, ოთახი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის, ბუფეტი, სველი წერტილები: ცალკე ბიჭებისა და გოგონებისათვის, ადაპტირებული და მასწავლებლებისათვის, ფართო დერეფანი და შემოსასვლელი ფოიე; მეორე სართულზე განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია ჩართულ მდგომარეობაში მყოფი 7 კომპიუტერით, კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, სამასწავლებლო, STEAM- კლუბის ოთახი, საკლასო ოთახები V-XII კლასების ჩათვლით, მეორე სართულის ფართო ფოიეში დადგმულია ტენისის მაგიდა მოსწავლეებისათვის, სველი წერტილები: ცალკე ბიჭებისა და გოგონებისათვის, ადაპტირებული და მასწავლებლებისათვის; პირველი და მეორე სართული დაკავშირებულია ჩართულ მდგომარეობაში მყოფი ლიფტით; ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ლეპტოპით და ინტერნეტით, მასწავლებლის მაგიდით , მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, სასკოლო დაფით და საჭირო ინვენტარით. სკოლას გამოყოფილი აქვს ოთახი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის პრაქტიკული და კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად და გაგზავნილი აქვს წერილი ზემდგომ ორგანოებში სრული ლაბორატორიული აღჭურვილობის გადასაცემად. სკოლას აქვს 17 პერსონალური კომპიუტერი და ნოუთბუქი მუშა მდგომარეობაში , 3 პრინტერი, 6 პროექტორი სხვადასხვა ლოკაციაზე, 6 ცალი ეკრანი პროექტორისთვის, მაგნიტური დაფები, კონდენციონერი, წყლის გამათბობელი, დენის გენერატორი , დენის ადაპტორი, ფოიეში დამონტაჟებული წყლის დისპენსერი, გათბობის ცენტრალიზებული სისტემა და წყალმომარაგების გამართული სისტემა;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ხელი მიუწვდება ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსებით სარგებლობაზე. სკოლაში შექმნილი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში. ზოგადად, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას გააჩნია კარგი მატერიალური ბაზა , რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ყველას აქვს საშუალება შეძლონ ერთმანეთზე ზრუნვა, ჯგუფური და გუნდური მუშაობა, განივითარონ შემოქმედებითი უნარები. ამაში ხელს უწყობს:

• სააქტო დარბაზი სასკოლო საზოგადოების ერთობლივი აქტივობებისთვის, კონცერტებისა და თეატრალური წარმოდგენებისთვის;
• ბიბლიოთეკა , სადაც სათანადო ადგილზე განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
• კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც სათანადო ადგილზე განთავსებულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
• გარემონტებული და სათანადო ავეჯით აღჭურვილი საკლასო ოთახები;
• კეთილმოწყობილია სამასწავლებლო და დირექციის ოთახი;
• სპორტული დარბაზი
. STEAM- კლუბის ოთახი,
• სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო.

ზემოთ ჩამოთვლილ სივრცეებში ტარდება სხვადასხვა სასწავლო და არაფორმალური აქტივობები , ღონისძიებები, ინტელექტუალური თამაშები, სპორტული შეჯიბრებები და სხვა. ეს ყველაფერი სასკოლო ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანს, სახალისოს, საინტერესოს და სასიამოვნოს ხდის. ასეთი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში საბიბლიოთეკო მომსახურება ხორციელდება დადგენილი წესების შესაბამისად. ბიბლიოთეკის სივრცეში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული მუშაობის განრიგი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას მომსახურების პირობებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა ოპტიმალურად არის ათვისებული - ერთ სივრცეშია გაერთიანებული წიგნადი ფონდი და სამკითხველო დარბაზი. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, კითხვისთვის განკუთვნილი სივრცეებით, არის კომპიუტერი და პროექტორი ეკრანით. ასეთი მოწყობა ხელს უწყობს რესურსებთან სწრაფ წვდომას და ქმნის კომფორტულ გარემოს როგორც საკითხავი მასალის მოსაძიებლად, ისე ადგილზე სამუშაოდ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. წიგნების სისტემატიზაცია და კატალოგიზაცია მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში დაცულია სააღრიცხვო სტანდარტები, რაც აადვილებს სასწავლო და მხატვრული ლიტერატურის მოძიებისა და მართვის პროცესს. საბიბლიოთეკო სერვისების გამართული

ფუნქციონირება ადასტურებს, რომ სკოლა ხელს უწყობს წიგნიერების დონის ამაღლებას და მოსწავლეებს სთავაზობს აუცილებელ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ბიბლიოთეკა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტსა და აქტივობაში. ბიბლიოთეკამ გაიმარჯვა განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საკლუბო კონკურსში და დაჯილდოვდა 2550 ლარიანი გრანტით, რომელიც მოხმარდა დამატებითი ლიტერატურის შეძენას. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 7250-მდეა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ყველა პირობას სწავლის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. სკოლის შენობაზე დამონტაჟებულია ლიფტი, რომელიც ფუნქციონირებს და ორივე სართულს აკავშირებს ერთმანეთთან. ორივე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი რესურს-ოთახი შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით. სკოლაში ამჟამად სწავლობს 4 სსსმ და შშმ მოსწავლე, რომელთა განვითარებაზე ზრუნავს ერთი სპეცმასწავლებელი. ის საგნის მასწავლებლებთან კოორდინაციით შეიმუშავებს და ახორციელებს მოსწავლეებთან მუშაობის გეგმებს, ასევე, საგნის მასწავლებლებს უწევს კონსულტაციას ისგ-გეგმების შემუშავებაში; სკოლას აქვს ინფორმაცია, რომ ახალი სასწავლო წლიდან 2 სსსმ მოსწავლე შეემატებათ, ამიტომ გეგმავს ასისტენტის პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადებას;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

სასკოლო საზოგადოება იმ საზოგადოებისა და თემის ნაწილია, სადაც სკოლა წარმართავს თავის საქმიანობას. შესაბამისად, სწავლა/სწავლების პროცესზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებასა და თემში არსებული ტენდენციები, ტრადიციები, შეხედულებები, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის მდგრადობას. სკოლაში შექმნილი სოციო-კულტურული სივრცე ხელს უწყობს, რომ ყველა წევრმა თავი იგრძნოს ამ სივრცის განუყოფელ ნაწილად; სკოლის ასეთი მიდგომები დადასტურდა მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების დროსაც; სკოლა გამოირჩევა სპორტული ტრადიციებით: ტარდება შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, მხიარული სტარტები მასწავლებლებთან ერთად; მიღწეული წარმატებები დადასტურებულია მოპოვებული თასებითა და სიგელებით, რომლებიც გამოფენილია სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას, სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობას ღებულობენ მეზობელი სკოლების მოსწავლეებიც; სკოლაში ხორციელდება პროექტები, კონკურსები, ღონისძიებები, რომლებშიც აქტიურადაა ჩართული ყველა საგნობრივი კათედრა; სკოლის გამორჩეულ წარმატებულ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები და კლუბური მუშაობები; სკოლამ გაიმარჯვა განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში და წარმატებით ფუნქციონირებს STEAM-კლუბი. კლუბური მუშაობის ფარგლებში შექმნილი თვალსაჩინო მასალა გამოფენილია

კლუბისათვის გამოყოფილ სივრცეში; სკოლა აქტიურად მონაწილეობს ნიკო კეცხოველის სახელობის საგანმანათლებლო პროექტში, წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას და აჭარის რეგიონის მასშტაბით მეორე რეიტინგულ პოზიციაზეა; სკოლამ გაიმარჯვა აჭარის განათლების სამინისტროს მიერ ინიცირებულ კონკურსში: „პროექტი ჩემს გაკვეთილზე", ორი პროექტი დაფინანსდა 1000 ლარიანი გრანტით ხელოვნებასა და მუსიკაში, მოსწავლეები ჩართული არიან ამ პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებში და ქმნიან შესაბამის საგანმანათლებლო პროდუქტს; სკოლამ მონაწილეობა მიიღო საკლუბო კონკურსში-„სასკოლო ბიბლიოთეკა"-მოიპოვა 2250 ლარიანი გრანტი,, რომელიც მოხმარდა მხატვრული და სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებას; სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, სამოქალაქო კლუბი, კითხვის კლუბი სამივე საფეხურზე;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
3. აზომვითი ნახაზი;
4. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

5.სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება წესი
6.მშობელთა და დამრიგებელთა ხელშეკრულება
7.კათედრის დებულება
8.ბიბლიოთეკის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლის შინაგანაწესისა და დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ სკოლის კომპიუტერულ და ადმინისტრაციულ ოთახებში განთავსებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნიკა. სკოლას უწყვეტად მიეწოდება ინტერნეტი. ყველა საკლასო ოთახში დამონტაჟებულია ნოუთბუქი და და მიეწოდება ინტერნეტი სასწავლო პროცესის დროს შეუფერხებლად გამოყენების მიზნით; ისტ-ის მასწავლებელი მუდმივ მხარდაჭერას უწევს სკოლის პერსონალს ციფრული ტექნოლოგიების მიზნობრივ გამოყენებაში; ამ ეტაპზე სკოლას აქვს 17 პერსონალური კომპიუტერი და ნოუთბუქი მუშა მდგომარეობაში, 3 პრინტერი, 6 პროექტორი სხვადასხვა ლოკაციაზე. სკოლაში არსებობს კომპიუტერული ინვენტარით აღჭურვილი კაბინეტი. შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობითა და ადგილზე ვიზიტით დადგინდა, რომ სკოლას აქვს შესაძლებლობა ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის; გარდა ისტ-ის გაკვეთილებისა, საგაკვეთილო პროცესის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით ხშირად იყენებენ კომპიუტერულ ლაბორატორიას სხვადასხვა ტიპის კომპლექსური და შემოქმედებითი სამუშაოების მოსამზადებლად. მასწავლებლების განმარტებით, სასკოლო ჟურნალის შევსებისა და დოკუმენტაციის წარმოებისთვის, ისე რომ საგაკვეთილო პროცესს ხელი არ შეეშალოს, იყენებენ სკოლის კომიუტერების ოთახს. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები
2. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

3.პერსონალურ მონაცემთა დაცვის პასუხისმგებელი პირის ბრძანება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლა ეყრდნობა საქმისწარმოების ზოგად ნორმატიულ აქტებს, მაგალითად საქართველოს პრეზიდენტის 1993 წლის ივლისის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული ,,საქმის წარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების" შესახებ. შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების საკუთარი წესი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.
საქმისმწარმოებელი ახდენს გასული და შემოსული კორესპოდენცინციების ელექტრონულ რეგისტრაცია-გენერირებას, ,პერსონალისა და მოსწავლეთა პირად საქმეების, ხელშეკრულებების აღრიცხვას და შენახვას, დოკუმენტების გაცემას არქივისთვის, აქტებისა და კორესპოდენციების აღრიცხვა ხდება წესების დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მთავარობის შემოთავაზებულ ყველა ელექტრონულ ინსტრუმენტს, მათ შორის სკოლის მართვაში გამოიყენება : eflow, eschool, outlook , MS Word, MS Excel. MS Power Point, Teams და Gmail-ელექტრონული ფოსტა, Facebooc -სოციალური ქსელი და სკოლის ვებგვერდი. eflow-ს დახმარებით საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც ის სრულყოფილად ასახავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლის ელექტრონული სისტემებში ხდება მოსწავლეთა შეფასება და გაცდენების აღრიცხვა https://onlineschool.emis.ge/auth, Google, Teams და სხვა პლატფორმების გამოყენებით

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს განათლების სფეროს მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებებთან, უზრუნველყოფს მათგან მიღებულ უკუკავშირზე რეაგირებას და მოთხოვნილი ინფორმაციის ოპერატიულ გაზიარებას, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის კანონშესაბამისად წარმართვას. ანგარიშგების სისტემა მოიცავს როგორც სტატისტიკურ, ისე შინაარსობრივ ინფორმაციას სკოლის საქმიანობის შესახებ, რაც აუცილებელია გარე მონიტორინგისა და დაწესებულების საქმიანობის შეფასებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა
2.საქმისწარმოების წესის დამტკიცების ბრძანება
3.განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
4.წერილი ვებ გვერდზე
5.პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:
1)სკოლის სტრუქტურა; 2)სკოლის ფილოსოფია; 3)სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;4)სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; 5)მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობები.;

გასაჯაროებული ინფორმაციები მაქსიმალურადაა დაცული პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონით. სკოლა ოფიციალური ინფორმაციის მისაწოდებლად მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას, teams-ის პლათფორმას, Facebooc-ის დახურულ ჯგუფს მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისათვის. ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებაა ელექტრონული ჟურნალი. სკოლის Facebooc-ის გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ (მისამართი, ფოსტა, დირექტორის საკონტაქტო ინფორმაცია). სწავლა-სწავლების პროცესის ამსახველი მასალა ქვეყნდება სკოლის გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლა უზრუნველყოფს მაქსიმალურად სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შესახებ.. ეს ეხება მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობების განხორციელებას, პარტნიორულ ურთიერთობებს, მემორანდუმით გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელებას; ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებლობა დირექტორის ბრძანებით დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

საზოგადოებასთან კომუნიკაციის სხვადასხვა არხით (საბჭოები, სოციალური ქსელები, შეხვედრები) მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სკოლის მუშაობის ხარისხის ანალიზისთვის. უკუკავშირის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები ხელს უწყობს სასწავლო პროცესისა და მართვის მექანიზმების დახვეწას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა მუდმივი განვითარების რეჟიმშია. სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირის ინტეგრირება სკოლის მართვაში აძლიერებს სასკოლო საზოგადოების ნდობას და უზრუნველყოფს საერთო მიზნების გარშემო მხარეთა კონსოლიდაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას გააჩნია ოფიციალური ვებ-გვერდი https://skolebi-admin.emis.ge/dashboard ; რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო პლატფორმას სასკოლო საზოგადოებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. პლატფორმის არსებობა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ციფრულ ხელმისაწვდომობასა და დისტანციური კომუნიკაციის შესაძლებლობას. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე (სახელმწიფო ენაზე), რაც სრულად შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. ინფორმაციის ენობრივი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს მშობლების, მოსწავლეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების სრულყოფილ ინფორმირებულობას სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების, სიახლეებისა და ადმინისტრაციული საკითხების შესახებ. ვინაიდან სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე, ვებგვერდის შინაარსობრივი მხარე სრულად პასუხობს სწავლების ენის მოთხოვნას. ეს გარემოება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის გამჭვირვალობასა და სასკოლო კულტურის პოპულარიზაციას ციფრულ სივრცეში. მოქმედი ვებგვერდის მეშვეობით სკოლა ახდენს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა და აქტივობების საჯაროობას, რაც

ზრდის დაწესებულების ანგარიშვალდებულების ხარისხს. ყველა ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში თუ ეს აუცილებლობით იქნება გამოწვეული, სკოლას აქვს რესურსი საჭირო ინფორმაციის ინგლისურ ენაზე განთავსებისა;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის მნიშვნელოვანი დოკუმენტები: მისია, ხედვა და ღირებულებები, რაც საზოგადოებას აცნობს სკოლის საგანმანათლებლო ფილოსოფიასა და პრიორიტეტებს. საინფორმაციო სივრცეში წარმოდგენილია სკოლის სტრუქტურა და საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებები. მშობლებისა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია ჩარიცხვის პროცედურებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესახებ, რაც ამარტივებს ადმინისტრაციულ მომსახურებასთან წვდომას. პლატფორმა მოიცავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ აუცილებელ მოთხოვნებსა და ინფორმაციას მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ. აღნიშნული მონაცემების საჯაროობა ადასტურებს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის საჭიროებებზე და უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას. პლატფორმაზე სრულყოფილად არის მითითებული საკონტაქტო მონაცემები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებასა და გარე პირებთან ოპერატიულ კომუნიკაციას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ საინფორმაციო პლატფორმა დატვირთულია სტანდარტით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი კომპონენტით, რაც ხელს უწყობს საზოგადოების სრულფასოვან ინფორმირებულობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბიბლიოთეკის ღონისძიებები;
2. სკოლის ფეისბუქგვერდი
3. სკოლის ვებგვერდი
4. მიღება-ჩაბარების აქტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, სკოლას გაქირავებული აქვს ფართი ბუფეტისა და ცეკვის წრის ფუნქციონირებისათვის, გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, ხოლო შემოსული თანხა აღირიცხება სკოლის ბიუჯეტში. ვაუჩერული დაფინანსებით მიღებული შემოსავლები მიემართება მიზნობრივად, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად. სკოლის სწორად და გამართულად მუშაობისთვის აუცილებელია ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა. ბიუჯეტის დაგეგმვას სკოლა ახდენს რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტირების დაგეგმვის პროცესი დინამიკურია. შესაძლებელია, საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების შეტანა და გადამტკიცება. სკოლას სახელფასო და კომუნალური გადასახადების შემდგომ რჩება მცირე ბიუჯეტური თანხები. ადგილზე ზეპირი ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მიზნობრივად იყენებს მცირე ნაშთს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლაში ფინანსური რესურსების მართვა ეფუძნება კოლეგიურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება სკოლის საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, ხოლო მისი საბოლოო დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ. ეს პროცესი უზრუნველყოფს ფინანსური გადაწყვეტილებების შესაბამისობას სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან. სკოლის დირექტორი

რეგულარულად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს ინფორმაციას ფინანსური რესურსების განკარგვისა და მონიტორინგის შედეგების შესახებ. გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენა წარმოადგენს კონტროლის ეფექტურ მექანიზმს, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს ფინანსური რესურსების ხარჯვის მიზნობრიობა და ეფექტურობა. ფინანსური მართვის მთელი ციკლი (დამტკიცება, ანგარიშგება, მონიტორინგი) სათანადოდ არის დოკუმენტირებული. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები წარმოადგენს იმ მატერიალურ მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს მართვის სისტემის ქმედითობას და ფინანსური პროცესების კანონშესაბამისობას.
სკოლის მიერ ჩამოყალიბებული მოდელი, სადაც ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭო ურთიერთთანამშრომლობენ ფინანსების მართვის საკითხებში, ქმნის საიმედო გარანტიას სკოლის ფინანსური სტაბილურობისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისთვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური მართვის ციკლი და ანგარიშვალდებულების მექანიზმები სრულად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. ბრძანება შესყიდვებზე;
3. შესყიდვები;
4. 10 დეკემბრის ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლაში არის დირექტორის ბრძანებით დანიშნული უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირი, დისციპლინური კომიტეტი, მორიგე მასწავლებლები, კლასის ხელმძღვანელები. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიები. მოსწავლის უფლებების დაცულია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც ქმნის სკოლაში მოსწავლეთა განათლებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები და პასუხისმგებლობები. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის საქმიანობაც მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და გარანტიებს უზრუნველყოფს;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის ვალდებულებაა სკოლის შინაგანაწესი გააცნოს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს. ყველა კლასის ხელმძღვანელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და ამას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ადასტურებს. ხოლო შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ეს რეგულაციები გამჭირვალეა. სკოლის შინაგანაწესი, დებულება და სხვა მარეგულირებელი აქტები ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდსა და საინფორმაციო დაფაზე, ხოლო დამრიგებლების დებულებაში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის, რითაც დასტურდება უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობა და გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან აღნიშნულის გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სასწავლო წლის დასაწყისში თითოეულ მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც კანონმდებლობის შესაბამისად გაწერილია ორივე მხარის უფლებები, რას იმის დასტურია რომ ხელშეკრულება არის გამჭვირვალე და მკაფიო. საჭიროებების შემთხვევაში ხდება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები;
- შინაგანაწესი 2025-2026;
- ბმული;
- სკოლასა და მშობელს შორის დასადები ხელშეკრულება;
- ოქმი 3 - ფოტოების განთავსების შეთანხმება;
- მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევნების წესი.
- მშობელთა კრების ოქმები.
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის ბრძანების შესაბამისად. პირველკლასელთა ჩარიცხვა ხდება განსაზღვრული ეტაპებით. ასევე სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი დირექტორის ბრძანებით მტკიცდება. მშობლების ინფორმირებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაცია, TEAMS - ის პლატფორმა. მშობლებთან ინფორმაციის განხილვა ხდება ინდივიდუალურად. საჭიროებიდან გამომდინარე, თუ დადგა საკითხი მოსწავლეთა სტატუსის შეჩერებისა, აქ ერთვება დისციპლინარული კომიტეტი, სადაც განიხილება საკითხი სტატუსის შეჩერების შესახებ. ეს მექანიზმი გამჭირვალეა და ხორციელდება არსებობის შემთხვევაში კანონმდებლობის შესაბამისად. რეგისტრაციის ვადებსა და პროცედურებთან დაკავშირებით ინფორმაციის გასაჯაროებაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო მენეჯერი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლაში დაცულია და კანონის მიხედვით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები. ვადების შესახებ ხდება მშობლის ინფორმირება სატელეფონო საუბრით და პირადი შეხვედრით. კლასის დამრიგებლებთან ხდება გაცდენების და შეფასების მონიტორინგი. სტატუსის შეჩერების შემთხვევა არ ჰქონიათ, ინფორმაცია გამჭირვალეა სასკოლო საზოგადოებისათვის. ამ ყველაფრის განხორციელება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებიდან გამომდინარე, სადაც დაცულია ის პროცედურები, რაც ამ საკითხების ობიქტურობასა და გამჭვირვალობას მოითხოვს. სკოლა მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლაში არ აქვთ ფასიანი მომსახურება პროგრამების სპეციფიკის მიხედვით. სწავლება მიმდინარეობს ესგ-ის სავალდებულო საგნების შესაბამისად, არჩევით საგნებს მოსწავლეები ირჩევენ. სკოლა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებად სთავაზობს კლუბებს და წრეებს, რომელიც ასახულია სასწავლო გეგმაში და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლაში განცხადებების, პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია გამოიკვრება საინფორმაციო სტენდზე, სკოლის ფეისბუქ -გვერდზე. სკოლა არ აწესებს შეზღუდვებს (გარდა იმისა, თუ ხელი არ ეშლება სასწავლო პროცესს) კომპიუტერული ოთახით, ბიბლიოთეკის, სააქტო დარბაზით სარგებლობის შესახებ. სკოლას აქვს საგანანმანათლებლო მომსახურეობისა და მასთან დაკავშირებული სერვისების მკაფიო და გამჭვირვალე სისტემა, კერძოდ, სკოლას აქვს სოციალურ ქსელში გვერდი, სადაც პერიოდულად განთავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით. საჯარო ინფორმაციით დაინტერესებული პირთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა. დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, მშობლის მომართვიანობის საფუძველზე. შეთავაზებულ მომსახურებაზე გაფორმებულია მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულება, სადაც გარკვევით ჩანს, რომ შეთავაზებული სერვისები არის ნებაყოფლობითი და არადისკრიმინაციული. მოსწავლეებისათვის სტიმულის მიმცემია განხორციელებული აქტივობების შესახებ სკოლის ვებ- გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, გამჭირვალეა და არადისკრიმინაციულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- ბრძანება 30;
- ბრძანება მოსწავლეთა დონის დაძლევაზე;
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- ბმული;
- შეთავაზება სკოლებს ინტეგრირებული პროგრამები;
- მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები;

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

სკოლის ყველა მოსწავლისთვის დანერგილია ადაპტაციის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზადყოფნის დადგენას. სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, ამ პროცეს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს დადებითი მხრით, აცნობს მასწავლებლებს, აცნობს სკოლის შინაგანაწესს, აცნობს გარემოს. ასევე პირველკლასელსა და მობილობით ჩარიცხულ მოსწავლეს შეუძლია წინასწარ ეწვიოს სკოლას, დაათვალიეროს სასკოლო გარემო, შეხვდეს თანაკლასელებს, პედაგოგებს. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა და თანამშრომელთა ტრანზიციის მექანიზმების დოკუმენტი. მასთან დაკავშირებული რეგულაციები და ტრანზიციის პროგრამა, რომლის მიზანია დაეხმაროს ბავშვსა და ოჯახს თავი კომფორტულად იგრძნოს ახალ გარემოში. კლასის დამრიგებელი ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ინფორმაციას მისი მიღწევებისა და თავისებურების შესახებ, გეგმავს შეხვედრებს მომავალ თანაკლასელებსა და მშობლებთან და აცნობს მათ სკოლის ფიზიკურ გარემოს. აღნიშნული აქტივობის მიზანია მოსწავლისათვის სკოლაში ადაპტირების პროცესის ხელშეწყობა და მშობლებისთვის სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, მათი მხარდაჭერა ბავშვის სათანადო მომზადებაში, რათა ტრანზიციის პროცესი სასიამოვნო და ნაკლებ სტრესული აღმოჩნდეს როგორც ბავშვისთვის, ისე მისი მშობლისთვის. სოციალურ ქსელში მუდმივად ზიარდება ინფორმაცია სკოლაში არსებული სხვა დამატებითი სერვისებისა და მომსახურების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მაქსიმალურად ხელმისაწვდომია ყველა მშობლისა და დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ბავშვის ცხოვრებაში პირველი სასწავლო წელი რთული პერიოდია, ამიტომ სკოლა ინდივიდუალური მიდგომით ცდილობს პროცესები სწორად წარმართოს, ამისათვის გამოიყოფა რამდენიმე ფაქტორი: ინდივიდუალური თავისებურებები, ხასიათი, უფროსი

და-ძმის გამოცდილება. ბავშვისთვის სასკოლო გარემოსთან შეგუება სწავლის სიყვარული. მასწავლებელთან ერთან მშობელსაც აკისრია, ამიტომ მშობლებიც აქტიურად არიან ჩართულები ამ პროცესში, რათა შეამცირონ ადაპტაციის სირთულეები და სასკოლო გარემო საინტერესო და სასურველი იყო თითოეული მოსწავლისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

მოსწავლეთა მაღალი აკადემიური დონე სკოლის მუშაობის შედეგია, ამისათვის სკოლის თითოეული პედაგოგი და კლასის დამრიგებელი ურთთანამშრომლური მუშაობით ხდება მოსწავლეთა ინფორმირება მათი აკადემიური მიღწევის შესახებ. კლასის ხელმძღვანელებს სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილი აქვთ მშობლების ინდივიდუალური ინფორმირების წესი მოსწავლეთა შესახებ. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმითა და რემედიაციით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობლის დროულ ინფორმირებას. სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, ფოიეს, ეზოს მოედანს, სპორტულ და სააქტო დარბაზებს. სკოლა უწევს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია ყველა ინფორმაცია, რაც ითვალისწინებს მოსწავლეთა კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს. დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მოსწავლის მობილობის მსურველ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდება ინფორმაცია განსახორციელებელი აქტივობების შესახებ, როგორც მიმღებ, ასევე გამშვებ სკოლასთან მიმართებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

მასწავლებლები ითვალისწინებენ ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მნიშვნელობას სწავლა-სწავლების დროს. სკოლაში სხვადასხვა საფეხურზე შექმნილია წრეები, კლუბები. განხორციელებული აქვთ პროექტები. სასწავლო ექსკურსიები და ლაშქრობები. აქტიურად არიან ჩართული რაიონულ ოლიმპიადებში, კონკურსებში. სხვადასხვა ორგანიზაციებში: ხელვაჩაურის ახალგაზრდულ ცენტრში, სადაც ხდებოდა სხვადასხვა საკითხის განხილვა. ,ყველაფერი ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დახმარებით და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ცოდნისა და აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება სკოლაში ფორმალური და არა ფორმალური სწავლა-სწავლების მიზნით დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის საფუძველზე ხდება გაანალიზება, ,თუ რამდენად ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური უნარები. ითვალისწინებენ მოსწავლეთა აზრს, შეაქვთ ცვლილება/კორექტირება პროექტების, აქტივობების შესრულებაზე. სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია, დიალოგში გაყოლა) მოსწავლეთა და დაინტერსებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი 2025;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი;
- კლუბების დებულებები;
- კითხვარები;
- ოქმი 2 - არჩევითი საგნის შესახებ;
- შეთავაზება სკოლებს ინტეგრირებული პროგრამები;
- საგნის არჩევის ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- მოსწავლეთა ადაპტირების წესი.
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**

პროფესიის სწორად არჩევაში, საზოგადოებაში ადგილის პოვნაში საბაზო და საშუალო საფეხურზე სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით, ცდილობენ მოსწავლეებში დანერგონ პროფესიული განათლების შესაძლებლობა. ასევე სკოლა ხელს უწყობს უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებელს, მოაწყონ ღია კარის დღეები სკოლაში; პედაგოგები დროულად აწვდიან გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, სიახლეებს. ყველა ღონისძიება დაეხმარება მათ კონკრეტული პროფესიის სწორად არჩევაში, რადგან პროფესია უნდა აირჩიო ინტერესების, შესაძლებლობების ,მიდრეკილებების შესაბამისად და არა თუ დღეს რომელი პროფესია უფრო პრიორიტეტულია. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით. სკოლას პროფესიულ სასწავლებელთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული აქვს წარმატებული სასწავლო პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლის მიზანია მოსწავლეებმა და მშობლებმა დროულად მიიღონ ინფორმაცია კარიერული წინსვლის შესახებ. გააკეთონ დროული და სწორი არჩევანი, სწორი მიმართულებით წარმართონ მათი საქმიანობა. საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეებს დამრიგებლები ესაუბრებიან კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. მომავლისთვის გეგმავენ სხვადასხვა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობას, რათა მოსწავლეებს დროულად მიაწოდონ ინფორმაცია, რაც მათ სწორი პროფესიის არჩევაში დაეხმარებათ. სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისას ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შედეგებს, რადგან შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია შედეგების გათვალისწინება, რადგან შედეგების მიხედვით შეიძლება დასკვნების გაკეთება

და შედეგების გათვალისწინებით შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა, ხარისხის გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- შინაგანაწესი 2025
- კლუბების დებულებები
- სადამრიგებლო კლასში დასწრების რეფლექსია;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი, აქვთ რესურს ოთახი, ჰყავთ პროფესიონალი სპეციალური მასწავლებელი, სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირება მშობელთა მომართვის საფუძველზე იწყება, ხოლო დასკვნა საჭიროების შესახებ მანდატურის სამსახურის შესაბამისი ორგანოების მიერ გაიცემა, რესურს ოთახში გამოკრული აქვთ მორიგეობის ცხრილი, იქმნება ი.ს.გ საგნის მასწავლებლებისა და სპეციალურ მასწავლებელთა თანამშრომლობის შედეგად. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები. სასწავლო წლის დასაწყისში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების, საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების მონაწილეობით იქმნება ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად გაწერილია ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. ისგ ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ და შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა

და დამატებების შეტანის, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებასა და აუცილებელ რესურსებს. სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი, თითოეული მოსწავლისთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით განსაზღვრული შესაბამისი სპეციალისტი, კერძოდ 1 სპეციალური პედაგოგი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ სსსმ მოსწავლესთან და ეხმარება მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში. თანატოლებთან ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით სკოლა ახორციელებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესა და მის თანატოლებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე მიმართულ პროაქტიულ აქტივობებს. ვიზიტის დროს ჩატარდა სპეციალურ მასწავლებლებთან ინტერვიუ, ინტერვიუს დროს რესპოდენტებმა გამოამჟღავნეს არა მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება, ასევე აღწერა მრავალფეროვანი აქტივობები, რასაც ის გეგმავს და ახორციელებს. ისე ემოციურად საუბრობდა თითოეულ მოსწავლეზე, რომ ფაქტია სკოლის მიდგომა სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერის მიმართულებით გამართულად მუშაობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს, რაც გამოიხატება კანონიერ წარმომადგენელთან და მასწავლებლის მუდმივ კომუნიკაციაში, ცნობიერების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში, მიმდინარე წელს დაიგეგმა „წიგნი ხეზე“ განხილვა, მოსწავლეები ჯგუფური მუშაობის შედეგად გაეცნენ ისეთ დიაგნოზს, როგორიცაა : დისლექსია, გაიხსენეს ფილმი „კლასის წინ“ და ისაუბრეს ტურეტის სინდრომზე, სსსმ მოსწავლები აღნიშნულ ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი, ასევე მიმდინარე წელს რესურს-ოთახში მოეწყო მათი ხელებით შექმნილი ფოთლებისგან შექმნილი სხვადასხვა ნიმუშის ჩვენება. ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი და ახორციელებს მონიტორინგს, შემუშავებული შიდა პროცედურის შესაბამისად. სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მოსწავლეების სწავლისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს. თითოეული მოსწავლისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული გეგმების შესასრულებლად. სკოლის სასკოლო - სასწავლო გეგმით რეგულირდება მოსწავლეთა, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანზიციის ხელშეწყობის შიდა მექანიზმი და მასთან დაკავშირებული რეგულაციები, საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად სკოლაში არსებული დამხმარე სერვისების შესახებ. განსხვავებულობის მიმართ ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლაში იმართება სხვადასხვა აქტივობა, მაგალითად, აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების დღის აღსანიშნავად სკოლაში ინტერაქციული და ინტელექტუალურ- გასართობი აქტივობა „ააწყვე ფაზლი“ განხორციელდა. ამავე დღის აღსანიშნავად სსსმ მოსწავლეთა

ჩართულობით თემატური კედლის გაზეთები, პოსტერები და გულსაბნევები დამზადდა. აღნიშნული კედლის გაზეთები გამოიფინა სკოლის ფოიეში, ხოლო თემატური გულსაბნევები დარიგდა სასკოლო საზოგადოების წევრებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ისგ ჯგუფის ოქმი;
- სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით ჩატარებული აქტივობების ამსახველი მასალა;
- სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- ბრძანება - სსსმ მოსწავლის გეგმის შექმნის კომისია;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლაში ფუნქციონირებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, კვების სერვისი (იჯარით გაცემული ბუფეტის ფართით), ტრასპორტის სერვისი, ტრანსპორტირება ხორციელდება შესაბამის უწყებასა და მომსახურების მიმწოდებელ კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც სკოლა, თავის მხრივ, აკონტროლებს მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას, აღსანიშნავია რომ ტრანსპორტით უზრუნველყოფა მშობელთა სურვილით, მათი განცხადების საფუძველზე განხორციელდა.

სკოლაში გახსნილია კვების ბლოკი სასკოლო ბუფეტის სახით-სკოლას კანონმდებლობის საფუძველზე მეიჯარისთვის გაცემული აქვს 16,3 კვ.მ ფართი ბუფეტის მოსწაყობად, ფართისა და ინვენტარის იჯარით გაცემის საკითხი განხილულ იქნა სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (2025 წ. 7 ოქტომბერი, სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 3), სკოლას წარმოდგენილი აქვს ზემდგომი ორგანოს თანხმობა კვებითი ბლოკის მოწყობაზე, ასევე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა იჯარით გაცემის ღირებულების განსაზღვრაზე. სკოლასა და მეიჯარეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში პუნქტობრივად მითითებულია რა სერვისი უნდა შესთავაზოს მეიჯარემ სკოლას. იჯარის საგანი რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით: ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები“. სკოლის კვების ობიექტი აკმაყოფილებს „ტექნიკური რეგლამენტების „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილებითა და „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. დირექტორის ბრძანებით, ბუფეტის ფუნქციონირებზე მონიტორინგის ვალდებულება მინიჭებული აქვს სკოლის ექთანს;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით - სკოლის მიერ დამატებითი მომსახურების შეთავაზებისას პრიორიტეტი არის მოსწავლის კეთილდღეობა.სერვისები ემსახურება მოსწავლის სოციალური, ემოციური და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას, ცოდნის მიცემას, წარმატებასა და წინსვლას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულება არ არსებობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

იჯარით გაცემაზე სამინისტროს თანხმობა

იჯარის გაცემის სამეურვეოს თანხმობა
აუდიტორული სამსახურის დასკვნა იჯარით გაცემაზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)**	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის კურიკულუმი)**	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას:

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ასახავს სურათს, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თემის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. კერძოდ, სასკოლო პროგრამა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა იმ უნარებით აღჭურვას, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების მიერ მიზნად დასახული მისიისა და ხედვის განხორციელებას. კერძოდ, სასკოლო პროგრამაში წარმოდგენილია სხვადასხვა საგნის ჭრილში დაგეგმილი პროექტული დავალებები, რომელთა მიზანიცაა ამა თუ იმ საგნობრივი მიზნების პარალელურად გავიდნენ ზესაგნობრივ პრიორიტეტულ თემებზე. ამის ნათელი მაგალითებია საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრების მიერ ორგანიზებული არა ერთი პროექტული დავალება, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასა და გარემო ბუნების დასუფთავება-მოვლას; ასევე, საბუნებისმეტყველო კათედრის სამოქმედო გეგმაში წერია, რომ კათედრა აქტიურ ღონისძიებებს ატარებს, რათა მოსწავლეები სრულყოფილად მოამზადონ ეროვნულ თუ საერთაშორისო ოლიმპიდებისთვის, აკადემიური სირთულეების მქონე მოსწავლეებთან კი, დაგეგმილი აქვთ რემედიაციისთვის საჭირო მეცადინეობები.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი წლიური პროგრამები-საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, ისევე როგორც პედაგოგებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესისთვის შერჩეული თემები და საკითხები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს და თანხვედრაშია თითოეულ საგნობრივ სტანდარტთან. პედაგოგები ყველა კლასში დეტალურად აანალიზებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გაკეთებულ მიგნებებს (სადიაგნოსტიკო წერების, შემაჯამებელი დავალებებისა თუ ყოველდღიური დაკვირვების საფუძველზე), აკვირდებიან მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მჭიდროდ თანამშრომლობენ მშობლებთან და ამ ფაქტორების გათვალისწინებით ქმნიან/მოდიფიცირებას უკეთებენ შემოქმედებით დავალებებს, გეგმავენ ფორმალური თუ არაფორმალური

განათლების ღონისძიებებს მომდევნო საწავლო წლისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტები, ე. წ. კურიკულუმების ჩარჩოები მრავალფეროვანია და საშუალებას იძლევა მოერგოს სხვადასხვა ინტერესისა თუ საჭიროების მქონე მოსწავლეს, მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად სკოლას აქვს მზაობა ჩაატაროს გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით მოახდინონ სასწავლო გეგმის განახლება. აღსანიშნავია, რომ მშობელთა უკუკავშირებზე დაყრდნობით სკოლა განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს. შესაბამისად შეაქვს ცვლილებები სასკოლო კურიკულუმში. მოსწავლეთა ინტერესებისა და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე მასწავლებლები ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რითაც სასკოლო კლიმატი ხდება მეტად აქტიური და პოზიტიური.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, ისევე როგორც კათედრების მიერ წარმოდგენილი ოქმებით დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებისა და დირექციის ურთიერთთანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობებიდან გამოკვეთილი მიგნებების გათვალისწინებით. კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებსა და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამებსა და მათი განხორციელებისთვის საჭირო სათანადო აქტივობებს, თანხმდებიან სტანდარტით განსაზღვრულ თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და დავალებებზე, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ შემოქმედებითი ბუნების დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად ქმნიან შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად შემოქმედებითი ბუნების დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. კათედრები იყენებენ კითხვარებს, როგორც მექანიზმს, რომლის საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების, ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვლევა, მათი კურიკულუმის განვითარების ციკლურ პროცესში ჩართვის მიზნით. ამგვარი მიდგომა კურიკულუმის შემუშავებისას ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების როლისა და ფუნქციის გააზრებას. საგნობრივ კათედრაზე ერთობლივი მუშაობით, მიღებული გამოცდილების გაზიარებით, შემაჯამებლების ანალიზით, კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებით, შესაბამისი თემების, შუალედური მიზნების, შეფასების კრიტერიუმების თუ რესურსების შერჩევით, კათედრებზე შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ:

მშობელთა კრებების ოქმები გვიჩვენებს, რომ სკოლის დირექცია და დამრიგებლები საგნის პედაგოგებთან ერთად აქტიურად აცნობენ სასკოლო საზოგადოების წევრებს დაგეგმილ სასწავლო პროგრამას.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების ოქმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- მშობელთა კრების ოქმები;
- პროექტის გეგმები/ფოტო სურათები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებების იდეები. დავალებები ისეა შერჩეული, რომ კონტექსტი ცხოვრებისეულია, დავალებები შეიცავს გამოწვევას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის განვითარებას. სამივე საფეხურზე შემუშავებულ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით. მოცემულ თემაში გარკვეული სასწავლო საკითხების შესწავლით სამიზნე ცნებების გააზრებისათვის შექმნილია და სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც ჩანს, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მოსწავლეთა ნაშრომების, მათი ანალიზის, მასწავლებლებთან შეხვედრისას მათი

	რეფლექსიების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ეს კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზაა. **<u>რჩევა:</u>** დაწყებითი საფეხურის ზოგიერთ კურიკულუმში სავალდებულო / სარეკომენდაციო თემების ნაცვლად ჩაწერილია სახელმძღვანელოს თავების დასახელებები. შესაბამისი კლასის სავალდებულო თემების დასაზუსტებლად შეგიძლიათ მიმართოთ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების სტანდარტს. თქვენ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ცხრილში ჩაასწორეთ სვეტში დასახელებით „თემა“ თემების დასახელება (ნუ გავაიგივებთ სახელმძღვანელოს თავების დასახელებებთან). სახელმძღვანელოს თავის დასახელება კი შეგიძლიათ გადაიტანოთ სვეტში „საკითხი/საკითხთა კლასტერი“, იმ საკითხებთან, რომლებიც ამ თავში განიხილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, სკოლაში სწავლება იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტ მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები და მოსწავლეს განიხილავენ როგორც ინდივიდს, რომელსაც ფასილიტაცია უნდა გაუწიონ სწავლის პროცესის წარმართვისას. საგნობრივი კურიკულუმით, განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკებით, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება,რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეულია მოსწავლეთათვის ნაცნობი თემები და კონტექსტი, დაგეგმილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზე მუშაობისას მოსწავლეს დასჭირდება მაღალი სააზროვნო უნარები და ცოდნის ინტეგრირება. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას კათედრის წევრები ეყრდნობიან გასული წლის შედეგების ანალიზს და ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესს,

	საჭიროებებს და შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი **დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის** ხელოვნების და მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები მათ შორის სავალდებულო პროექტებით სწავლების მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმები მიემართება სასწავლო გეგმის გრძელ ვადიან მიზნების და სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, დოკუმენტებიდან იკვეთება რომ სასწავლო შედეგები მიიღწევა შუალედური მიზნებისა და სამიზნე ცნებების გააზრებით. ჩანს რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული და ასახავს დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში ასახულია შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლეზე ორინეტირებულობასა და ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებს უჭირთ საგნობრივი სტანდარტის ტერმინოლოგიით საუბარი, აქვთ მკაფიო ხედვა, როგორ გააქტიურონ საფეხურის სამიზნე ცნებები საეტაპო აქტივობებისა თუ თემის შემაჯამებელი დავალებების საშუალებით. თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები (მაგალითად, კავშირი ბუნებასთან, ჩემი თანატოლები, თანაგრძნობა და სინანული, მშობლიური კულტურა, ადამიანი და საზოგადოება - ის კონტექსტებია, რომლებზე მსჯელობაც მოსწავლეს პირადი გამოცდილების საფუძველზეც შეუძლია). მასწავლებლებმა შეხვედრაზე ახსნეს, რა მიზნით დაგეგმეს კონკრეტული დავალებები და რა საგნობრივ ცოდნას მიიღებს მოსწავლე მათი საშუალებით. კათედრას აქვს პოტენციალი, სრულყოს კურიკულუმი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებ **<u>რჩევა:</u>** სასურველია, თემების ფორმულირებისას მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ საგნობრივ სტანდარტში მოცემული სარეკომენდაციო თუ სავალდებულო თემატური ბლოკებითა და თემებით

	და არა მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოების პარაგრაფებით, რადგან პარაგრაფში მოცემული ფორმულირება ყოველთვის არ გამოხატავს სასწავლო თემის შინაარსს. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმში აისახოს ის დაგეგმილი საგნობრივი თუ სოციალური პროექტები, რომელთა იდეებიც პედაგოგებმა გაგვაცნეს. მიზანშეწონილია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს სახელმწიფო ენის კათედრისთვის პროფესიული მხარდაჭერა(ტრენინგი, ვებინარი და სხვა) პროექტების დაგეგმვა-განხორციელებასა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენა-წარმოებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის სამივე საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შუალედურ სასწავლო მიზნებად განიხილება შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს ითვალისწინებს და უზრუნველყოფს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; შემუშავებული კურიკულუმე/ბი, მასწავლებლის მიერ შედგენილი თვითშეფასების რესურსი სკოლაზე მორგებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II–VI კლასი) მიზნად ისახავს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტების განხორციელებას და მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას. კურიკულუმი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და შუალედურ მიზნებად მოიცავს სამიზნე ცნებებსა და კომპლექსური დავალებების იდეებს, რომლებიც ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს, უნარების განვითარებასა და გამთლიანებულ სწავლებას. ინტერვიუსას მასწავლებელმა გამოხატა კომპლექსური დავალებების მნიშვნელობა და გააზრებული აქვს ცნებებს შორის კავშირები, საგნის ძირითადი მიზნები და სარეკომენდაციო რესურსების

	გამოყენება. იგი აქტიურად ნერგავს კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს, აანალიზებს გამოწვევებს და აფასებს მიღებულ შედეგებს. კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ინფორმაციულ და ციფრულ წიგნიერებას და სამიზნე ცნებების სრულ სპექტრს. რესურსების შერჩევა ემყარება გრძელვადიან მიზნებს, ხოლო სწავლება — მოსწავლის მოტივაციასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან შედეგებზე, რომლებიც განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები და შინაარსი იქმნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი მიდგომით, რომელიც აერთიანებს ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, ხოლო კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითი და ლოგიკურ-ალგორითმული უნარების განვითარებას. **რჩევა: სასურველია ყველა კლასში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნას მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **<u>რჩევა:</u>** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში მრავალფეროვანი რესურსებისა და დავალებების გამოყენება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზნებად წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები. წარმოდგენილია საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცნებები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირი ერთმანთთან, ქვეცნებებთან და საკითხებთან. თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს, რომელიც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღრული გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. დასახული შუალედური მიზნები და შერჩეული რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს სხვადასხვა ფუნქციურ უნარებზე როგორიცა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, სკოლაში სწავლება იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების მიერ წარმოდგენილ მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიულუმების ჩარჩოებში, თემის ფარგლებში მოცემულია საკითხები, გაწერილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები და მოსწავლეს განიხილავენ როგორც ინდივიდს, რომელსაც ფასილიტაცია უნდა გაუწიონ სწავლის პროცესის წარმართვისას. მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალქეობის კურიკულუმით, განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკებით, კომპლექსური დავალების ნიმუშების

	გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგგმვის შესაძლებლობას. **<u>რჩევა:</u>** სასურველია, საგან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, კურიკულუმის ჩარჩოებში მოხდეს საკითხების შინაარსობლივი ნიშნით დაჯგუფება/ გაერთიანება. ასევე დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება; ასევე განისაზღვროს და დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებების ქვეცნებები. ცნებები და ქვეცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები, განსაზღვრულია კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები და რესურსები, რაც ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით საბაზო და საშუალო საფეხურზე** წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნების სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული ესგ და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად , ჩანს რომ საგნობრივი კურიკულუმები კათედრაზე შემავალი წევრების ერთობლივი ნამუშევარია, სადაც ასახულია ესგ და სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები სამიზნე ცნებები, ქვეცნებების რესურსები , აქტივობები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, დაგეგმილი აქტივობები სასწავლო შედეგებისა და ფუნქციური უნარების განვითარებას. ცოდნის სამივე კატეგორიის შესამოწმებლად შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, მინი პროექტები, სახალისო აქტივობები, ესეები, და სხვა, მიუხედავად ზემოთ მოცემული აღწერილობისა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში არ იყო მეშვიდე კლასის საგნობრივი კურიკულუმი, რაც ტექნიკური პრობლემა იყო, სკოლამ ინტერვიუს და სკოლასთან ვიზიტის დღესვე შეძლო მისი ჩვენება და შესაბამის დროში გამოგზავნა სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმში წარმოჩენილია საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები, ძირითადი ქვეცნები, სავალდებულო თუ სარეკომენდაციო თემები. გრძელვადიანი მიზნებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტმაგალითები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ლიტერატურის გაკვეთილებზე ყოველთვის აქტიურდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება საეტაპო აქტივობებსა თუ საბოლოო დავალებებში. შემოქმედებითი ბუნების დავალებები, საგანთა ინტეგრირება (მაგალითად, ქართული ლიტერატურა და ისტორია), რისი გამოცდილებაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე ზეპირი რეფლექსიით, ხაზს უსვამს, რომ მასწავლებლები ზრუნავენ, პროცესი ორიენტირებული იყოს როგორც შუალედურ, ისე გრძელვადიანი მიზნებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო მიზნები და აკმაყოფილებს ესგ-ს მოთხოვნებს. კურიკულუმები აგებულია ისე, რომ ემსახურება მოსწავლეებში ფუნქციურ -კომპეტენტური უნარების განვითარებას. **<u>რჩევა:</u>** ა). მათემატიკის შემოქმედებითი დავალების ბარათებსა და მატრიცებში ძველი სამიზნე ცნებები დასაკორექტირებელია ახალი სამიზნე ცნებებით. ბ). IV, V,VI ,VIII,XI კლასის კურიკულუმებში თემების დასახელებები დასაზუსტებელია სტანდარტიდან. გ).I, II,III, IV კლასის კურიკულუმებში დასამატებელია სავარაუდო საათობრივი განაწილება თემების მიხედვით. დ). VII,.IX,.XII კლასის კურიკულუმებში დასამატებელია შემოქმედებითი დავალებები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივ კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ დ უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივა შეიმუშავებენ კურიკულუმებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლ საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ მასწავლებელი კარგად იცნობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და სწორად აღიქვამს საგნის მიზნებსა და მის შიდა კავშირებს. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებთან და გამოირჩევა ორიგინალურობითა და გრძელვადიან შედეგებზე ორიენტაციით. აღსანიშნავია, რომ ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს პროექტების, ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა გლობალური და ფუნქციური უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა დეტალურად აღწერა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის ეტაპები და ორგანიზების პროცესი. დავალებების დაგეგმვისას იგი სისტემურად ითვალისწინებს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, ხოლო შეფასების კრიტერიუმები მათთან მჭიდრო შესაბამისობაშია. კურიკულუმისა და ინტერვიუს ერთობლივი ანალიზი მიუთითებს, რომ პედაგოგი მკაფიოდ აცნობიერებს კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებების მნიშვნელობას. ასეთი ტიპის აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, თანამშრომლობის უნარების გაძლიერებას, დამოუკიდებელ სწავლებაზე ორიენტაციას, რეფლექსიასა და მეტაკოგნიტური უნარების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ კურიკულუმი რეგულარულად განახლდება მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ჩართულობასა და განვითარებაზე მორგებულ სასწავლო

	გარემოს. პედაგოგები ხედავენ სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნების აუცილებლობას და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. მასწავლებლებმა წარმოადგინეს ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით გაწერილი აქტივობები, რესურსები, მოსწავლის ნამუშევრები. კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული სახელმძღვანელოები. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გაწერილი ატქივობები შესაძლებელია შესრულდეს იმ რესურსის გამოყენებით, რაც მითითებულია კურიკულუმებში და რის შესახებაც მასწავლებლებმა აღნიშნეს პირისპირ შეხვედრის დროს. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც არაა სრულად გამართული, თუმცა მისი მოქმედი ნაწილი იძლევა საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების საშუალებას. გასაუბრებისას საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები საშინაო ცდებში იყენებენ იაფ და ხელმისაწვდომ რესურრსაც, ასევე სკოლას აქვს კომპიუტერები და ხელმისაწვდომია ვირტუალური რესურსიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლ რესურსი. კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილია ძირითადი, გრიფირებული სახელმძღვანელოები და ასევე დამატებითი-ელექტრონული რესურსები, რაც მათ ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში.

	<u>რჩევა:</u> სასურველია საგან გეოგრაფიის კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმებში, სახელმძღვანელო გამოყენებულია, როგორც ძირითადი რესურსი, ის წარმოადგენს მთავარ საყრდენს და უშუალოდ უკავშირდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული ბმულები საგანმანათლებლო ვიდეოების სახით, რაც მოსწავლეებს ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში. **<u>რჩევა:</u>** სასურველია, რომ უცხოური ენების კათედრამ გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი რესურსები, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებზე. ამასთანავე, სასურველია, კონტექსტ მაგალითის გრაფაში მითითებული იყოს კონკრეტული რესურსი (მაგალითად: ესეს მოდელი, ტექსტი, ბროშურა და სხვ.), რომელიც მოსწავლეს დაეხმარება კონკრეტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით საბაზო და საშუალო საფეხურზე** სკოლას კათედრაზე განხილული აქვს და არჩეული ძირითად საგანმანათლებლო რესურსად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეულია სასწავლო რესურსი, ელექტრონული რესურსები რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. კურიკულუმებში მოცემული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები მიზნობრივად და სწორად არის შერჩეული, მაგალითად ილუსტრაციები, პლაკატები, სასწავლ;ო ბარათები, მასწ, მიერ შექმნილი რესურსები სსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული თვალსაჩინოებები, ელ რესურსები, რომლებიც ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში და მათ შორის სსმ მოსწავლეების შემოქმედებითი, კოგნიტური და აკადემიური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით, ძირითად რესურსად მიჩნეულია გრიფირებული სახელმძღვანელო, თუმცა სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო ტექსტების გარდა, შერჩეულია თემასთან დაკავშირებული არასავალდებულო ლიტერატურა. მონიშნულია ისეთი წერილები, ისტორიული ნარკვევები თუ დოკუმენტური ფილმები, რომლებიც მოსწავლეს ეხმარება ლიტერატურული და ისტორიული პროცესის დაკავშირებასა და სათანადო დასკვნების შემუშავებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია როგორც, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ელექტრონული რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **<u>რჩევა:</u>** V, VI კლასის კურიკულუმებში სასურველია მითითებული იყოს კონკრეტული თემების შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში მოცემული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზანმიმართულად და სრულად შეესაბამება განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. თუმცა, უმეტეს წილად, მხოლოდ სახელმძღვანელოა. **რჩევა:** კურიკულუმში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. მიეთითოს გამოყენებული ბმულების კონკრეტული დასახელება **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზანი. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს შექმნილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება შემოქმედებით დავალებას და ითვალისწინებს, თუ რა შეძლო ამა თუ იმ მოსწავლემ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა გაიაზრა და რამდენად მიუახლოვდა ის სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიდანაც ჩანს, რომ რომ სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. მასწავლებლებს გათვალისწინებული აქვთ კონკრეტული საჭიროების მოსწავლისათვის შესაბამისი, სათანადო აქტივობები და რესურსები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, გაწერილი აქტივობები, რესურსები, მოსწავლის ნამუშევრები. წარმოდგენილ მასალებში და გასაუბრების დროს გამოჩნდა, რომ სკოლა იცნობს ინკლუზიური განათლებისა და დიფერენცირებული სწავლების ზოგად პრინციპებს. პედაგოგებს ესმით დიფერენცირებული მიდგომის ძირითადი არსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას. გარდა ამისა, ჩვენი საქართველოს, ისტორიისა და მოქალქეობის პედაგოგებმა წარმოადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ასევე დიფერენცირებული სწავლების მაგალითები. შესაბამისად, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების - კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, დიფერენცირებული სწავლების მაგალითებით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასკოლო კურიკულუმი იმგვარადაა შედგენილი, რომ იძლევა დიფერენცირების შესაძლებლობას, ითვალისწინებს მოსწავლეთა მზაობას და ხელს უწყობს მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ამის დასტურია საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და ის მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტები (პრეზენტაცია, პოსტერი, განრიგი, ესე და სხვ.), რომლებსაც მოსწავლეები ქმნიან დავალების ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით საბაზო და საშუალო საფეხურის** საგნობრივ პროგრამებში ჩანს რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომებით, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის მათ შორს სსმ მოსწავლეების ინტერესები და შესაძლებლობები, შექმნილია მოსწავლის საჭიროებაზე შექმნილი დავალებები და აქტივობები, რომელიც ყველა მოსწავლის ჩართვას და ინტეგრაციას ითხოვს სასწავლო პროცესში, დოკუმენტებში ჩანს რომ ინდ გეგმებში პედაგოგები ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას და ამარტივებენ ისე რომ მოსწავლემ შეძლოს შედეგზე გასვლა. გამოყენებულია ხმოვანი წიგნები, ილუსტრაციები, საწ, ბარათები ტექნოლოგიები

	თამაშებით სწავლება იმისათვის რომ სსმ მოსწავლეებმაც შეძლონ შემოქმედებით და სპორტულ ღონისძიებებში, კონკურსებში მონაწილეობა და ჩართვა **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირებისა და ინლუზიური სწავლების პრინციპებ გათვალისწინების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი: ა) სასწავლო თემებ შერჩევა მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების საფუძველზე; ბ) არჩევან შეთავაზება შემოქმედებითი ბუნების დავალების შესრულებისას. გ) ინდივიდულური სასწავლ გეგმები, რომელთა შინაარსიც ადასტურებს, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ, განსაზღვრ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით. <u>**რჩევა:**</u> სასურველია, კურიკულუმში აისახოს, გარდა საბოლოო დავალების არჩევანის შეთავაზებისა, საეტაპო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისას დიფერენცირების რა სტრატეგიებს იყენებენ მასწავლებლები ტიპური განვითარების მოსწავლეებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმებიდან ჩანს რომ, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია როგორც ინკლუზიური, ისე დიფერენცირებული მიდგომები. დიფერენცირებული მიდგომები ასევე გათვალისწინებულია წარმოდგენილ შემოქმედებით დავალებებში და საჭიროების შემთხვევაში ხდება როგორც დავალებების, ისე სასწავლო პროცესის ცვლილება და მოსწავლის საჭიროებებზე ადაპტირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	საგან „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ კურიკულუმი მოიცავს მრავალფეროვან, მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო შინაარსს, მასალებსა და ელექტრონულ რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ცოდნის თანმიმდევრულ, ეტაპობრივ აგებას. ინტერვიუში მასწავლებელმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესში აქტივობები რეგულარულად მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. იგი იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს და სთავაზობს მრავალფეროვან რესურსებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებას. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, საკუთარი ცოდნა, აზრები და დამოკიდებულებები გამოხატონ მათთვის მოსახერხებელი და ეფექტური გზებით. შეფასება განიხილება არა მხოლოდ შედეგის განსაზღვრის, არამედ სწავლების გაუმჯობესების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია — ინდივიდუალური გეგმები, შეფასების რუბრიკები და თვითრეფლექსიის მასალები — ნათლად აჩვენებს, რომ სწავლების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ინდივიდუალური თავისებურებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა პირისპირ შეხვედრისას წარმოადგინეს სხვადასხვა შესაძლებლობებისა და დონის მოსწავლეთა საინტერესო ნამუშევრები. საბაზო და საშუალო

	საფეხურზე აქვთ შეფასების რუბრიკები - როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავთარებელი. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ესგ განსაზღვრულ მიზნებს, და შედგენილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორ გაიაზრა მოსწავლემ სამიზნე ცნებები მოცემულ თემაში მოცემული საკითხების შესწავლისას. განმსაზღვრელი შეფასებისას გათვალისწინებულია შედეგების მიღწევის ინდიკატორები ამა თუ იმ თემაში. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ ისეთ წყაროებსაც, როგორიცაა მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქოემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების, ან დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა წარმოადგინეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემაზე შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისა რუბრიკები, მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიასა და მოქალაქეობის მიმართულებით. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე სკოლამ წარმოადგინა შერჩეული კომლექსური დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან; **<u>რჩევა:</u>** სასურველია საგან გეოგრაფიაში წარმოდგენილი იყოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან.ასევე შერჩეული კომლექსური დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **<u>რჩევა</u>**:ასევე, სასურველია ჩვენი საქართველოსა და ისტორიის მიერ წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო კონკრეტულად იყოს მორგებული დავალებების ტიპზე და

	მიზნებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, შეფასების სისტემა უკეთ ასახავდეს მოსწავლის ინდივიდუალურ ზრდას, შემოქმედებით წვლილს და ჩართულობას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრას შემუშავებული აქვს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი, რომელიც განსაზღვრავს მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით და განმავითარებელი, სადაც ორიენტირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაა. შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები ადასტურებს, რომ ორიენტირება ხდება სამიზნე ცნებებსა და მოლოდინებზე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. **<u>რჩევა:</u>** მნიშვნელოვანია, რომ კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა შესასწავლი თემის ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რომ მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურზე** სკოლის მიერ იქნა გადმოგზავნილი მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი, რომლებიც შეესაბამება ესგ მიზნებს. დოკუმენტებიდან ჩანს რომ მოსწავლეთა შეფასებისას პრიორიტეტი მინიჭებული აქვთ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელთა შესრულებისას მოსწავლე მიღებულ ცოდნას გამოიყენებს პრაქტიკაში, დოკუმენტებში ჩანს რომ შეფასების მიზანია შედეგების გაზომვა გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მაგ:(სამიზნე ცნებების და ქვეცნებების) გამოყენებით კონკრეტულ თემასა თუ საკითხთან მიმართებაში. სკოლა მოსწავლეებს აფასებს შემაჯამებელი დავალებებით, პრეზენტაციებით, პროექტებით, ანგარიშების მომზადებით და სხვა . თითოეული შეფასების ფორმა სკოლის დოკუმენტებში ჩანს რომ განხილულია კათედრაზე და შეთანხმებულია ადმინისტრაციასთან, სკოლის მიერ გადმოგზავნილ რამდენიმე დოკუმენტში შეფასებასთან დაკავშირებით ინდიკატორები და კრიტერიუმები არასწორად იყო გააზრებული, რომელიც მასწავლებელთან ინტერვიუს დროს განვიხილეთ და შესაბამისი რჩევები მივეცით.

	რჩევა: დაწყებით და საბაზო საფეხურზე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეიქმნას კონკრეტულ თემაზე მორგებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც შეფასების ინდიკატორებად გამოტანილი იქნება საგნის სტანდარტის შედეგებით მისაღწევი ინდიკატორები, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და ქცევნებები, რომლებიც კონვერტირებული იქნება შესაბამის ქულებთან ან განმავითარებელ უკუკავშირთან, რის საფუძველზე მოსწავლე გაიგებს სად აქვს მიღწევა და სად პრობლემა **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიმართება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებსა და მიზნებთან ჩანს კათედრის მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკის ნიმუშებში, რომლითაც მოწმდება მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, მსჯელობის ლოგიკურობა და არგუმენტირების უნარი. რუბრიკები, ძირითადად, ეფუძნება წინა საგნობრივი სტანდარტის შედეგებს და არ არის მითითებული სამიზნე ცნებები, თუმცა კრიტერიუმებით მოთხოვნილი ცოდნა და უნარები ეხმიანება სამიზნე ცნებების შინაარსს. რაც შეეხება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, მასწავლებლემა გულწრფელად აღნიშნეს, რომ წერილობით კომენტარს იშვითად მიმართავენ, მაგრამ ზეპირად ყოველთვის განიხილავენ მოსწავლეებთან ნამუშევრის ძლიერ და სუსტ მხარეებს და გასცემენ სათანადო რეკომენდაციას. ბუნებრივია, ამ ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ თითოეული სასწავლო თემისთვის სრულყოფილად არ აქვთ განსაზღვრული, რა ტიპის აქტივობებსა და დავალებებს გამოიყენებენ სამიზნე ცნებების გასააქტიურებლად, ვერ იქნება წარმოდგენილი ყველა შეფასების რუბრიკა, თუმცა ატვირთული ნიმუშები და მასწავლებელთა უკუკავშირი იძლევა საშუალებას, დაისკვნას, რომ კათედრა შეძლებს, ახალ საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასოს მოსწავლეები. **<u>რჩევა:</u>** შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის მოთხოვნები უნდა ჩამოყალიბდეს უფრო მარტივი, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი სიტყვებით, იყოს კონკრეტული, მაქსიმალურად ფოკუსირებული შესასწავლ საკითხზე, შესასრულებელ ამოცანაზე. შემოქმედებითი ბუნების დავალებების შეფასების რუბრიკაში კი მკაფიოდ უნდა იკითხებოდეს ამავე დავალების მოთხოვნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	კათედრის მიერ კურიკულუმში წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებთან და ამოცანებთან. წარმოდგენილია სხვადასხვა სახის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. <u>**რჩევა:**</u> სასურველია შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი/განმსზაღვრელი) შემუშავებული იყოს ყველა თემის ფარგლებში, ისე რომ მიზნად ისახავდეს სამიზნე ცნებების დამუშავებასა და გააზრებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება მოძრაობაში. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა წარადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. იგი იყენებს შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუსა და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის (შეფასების რუბრიკები) ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. შეფასების დიზაინი, რომელსაც იგი იყენებს განმავითარებელი შეფასებისას, ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/კრიტერიუმებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. შეფასების ეს

	ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება როგორც პროცესის შემაჯამებელი - თემის, თავის, სემესტრის ან საკითხის დასრულებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად ზოგადი კრიტერიუმებია. **<u>რჩევა</u>:** კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეულ შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო/სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის ძშემუსავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები
- სანობრივი კათედრების სხდომის ოქმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსრეუმენტები
- შეფასების ვერუფიკაციის მექანიზმი

- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების რეფლექსიები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- კომპლექსური დავალების ნიმუშები
- განხორციელებული პროექტების ნიმუშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით. მოსწავლეთა ნაშრომებიდან, მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას მოსწავლეთა მიღწევების ანალიზიდან, მოსწავლეთა შესრულებული დავალებების შესახებ საუბრიდან გამომდინარე, შეფასების რუბრიკებიდან, ჩამოთვლილი და გამოყენებული რესურსებიდან, თუ შერჩეული და შესრულებული აქტივობებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად. სკოლა ქმნის ისეთ გარემოს, სადაც აქტივობები დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად და ხელს უწყობს მოსწავლის სრულყოფილ განვითარებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. როგორც პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, ისინი მიჰყვებიან საგნობრივ კურიკულუმებს დ ასევე ასახავენ ცვლილებებს, რომლებიც იკვეთება მუშაობის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის სასწავლო კურიკულუმი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს. კურიკულუმში გაწერილი თემები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებთან, შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და განსაზღვრულია რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრებიც. **<u>რჩევა:</u>** სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მიუთითეთ საათობრივი განაწილება თითოეულ თემასთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურზე** სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების მიხედვით სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით ესგ და საგნის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად დაწყებით და საბაზო საფეხურზე ყურადღება მახვილდება სასწავლო პროგრამებში ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას, აღმზრდელობით საკითხებს. რისთვისაც გამოყოფილია პრიორიტეტული თემები. სკოლის დოკუმენტებით და მასწავლებელთ ინტერვიურებისას გამოიკვეთა რომ კურიკულუმის განხორციელების შემდეგ ხდება ანალიზი და შედეგების განხილვა, რათა მომავალი პროგრამების შექმნის დროს მოხდეს მისი გათვალისწინება, სასწავლო პროგრამებში გათვალისწინებული საკითხები და თემები მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებისა და ესთეტიკური ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	მოცემულ ეტაპზე კათედრას აქვს საფუძვლიანი მონახაზი იმისა, თუ როგორ წარმოუდგენია სასწავლო პროცესის წარმართვა. დავალებების გარკვეული ნაწილი ეფუძნება წინარე გამოცდილებას, მაგრამ უმეტესობა ახალია. შესაბამისად, კათედრა აცნობიერებს, რომ სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, კურიკულუმში გარკვეული ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლა-სწავლება ემყარება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს, რაც დასტურდება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად - დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებელი სწავლების პროცესში ეყრდნობა კურიკულუმში ასახულ მიზნებს, სამიზნე ცნებებსა და საკითხებს. იგი იყენებს სამგანზომილებიან მიდგომას,

	ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს და იყენებს კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს, მრავალფეროვან ციფრულ რესურსებსა და სხვადასხვა სწავლების ფორმატს. დაგეგმვა ეფუძნება ინდიკატორებსა და შეფასების ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმთან შესაბამისობას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დაგეგმვა ითვალისწინებს სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. აქტივობები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და თანხვედრაშია სკოლის საერთო საგანმანათლებლო ხედვასთან **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლის მიერ წარმოდგენილი წლიური სასწავლო პროგრამა თითოეული საგნისადმი/საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რემედიაციის პროცესების აღმწერი დოკუმენტები და მასწავლებელთა ინტერვიუები ცხადყოფს, რომ სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური თუ ადამიანური რესურსი, რომ ადვილად გაუმკლავდნენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ დაუგეგმავ გამოწვევებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები გამჭირვალეა და მოსწავლეებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებელი აქტიურად იყენებს სიტყვიერ განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, აქტივობების შეფასების კრიტერიუმები, შეფასების ვერიფიკაციის სქემები - ყველაფერი მოწმობს, რომ შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **რჩევა:** ბუნების შეფასების რუბრიკა 4 კლასი - განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნისას მეტად იხელმძღვანელონ ესგ და ბუნებისმეტყველების სტანდარტით და რუბრიკა დაზუსტდეს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად, კონკრეტული თემისა და საკითხების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, გეგმავს მათ გასაჯაროებას, რაც გაწერილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. სკოლას, ასევე, წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, საიდანაც ჩანს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა.მიუხედავად იმისა, რომ შეფასება გამჭვირვალეა და სტანდარტებზე დაყრდნობითაა აგებული, ზოგიერთი შემთხვევაში არ არის მკაფად მიბმული კონკრეტულ დავალებებზე და მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე. კრიტერიუმები ზოგჯერ ფორმალურადაა წარმოდგენილი და არ იძლევა სიღრმისეულ ანალიზზე დაფუძნებული შეფასების შესაძლებლობას. **<u>რჩევა:</u>** სასურველია შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო კონკრეტულად იყოს მორგებული დავალებების ტიპზე და მიზნებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, შეფასების სისტემა უკეთ ასახავდეს მოსწავლის ინდივიდუალურ ზრდას, შემოქმედებით წვლილს და ჩართულობას, რაც გაზრდის შეფასების სამართლიანობასა და სანდოობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები მიემართება შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზნებს, შესაბამისად არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ. თუმცა, წარმოდგენილ შემაჯამებელი(ტესტური)დავალების შეფასების რუბრიკებში, სასურველია უფრო მეტად დაკონკრეტდეს, თუ რა კონკრეტული საკითხების ცოდნა მოეთხოვება მოსწავლეს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებული**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო)** სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში, საგნობრივ პროგრამებში და შეფასების რუბრიკებში ჩანს რომ შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მუდმივი მონიტორინგი. სკოლის შეფასების სისტემა ყველა საფეხურზე მოიცავს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის მიზანია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და მათ განვითარებაზე დაკვირვება, ამისათვის სკოლას გამოყენებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმები. გარდა ამისა მოსწავლეთა პროგრესზე დაკვირვებისათვის კათედრაზე შეთანხმებული აქვთ და შექმნილი სხვადასხვა ფორმის შეფასებები მაგალითად: სემეტრული, წლიური შეფასება დიაგნოსტიკური შეფასება შემაჯამებელი დავალების შეფასება , კომპლექსურის შეფასება და სხვა რომლის შესახებ ინფორმირებული არიან სკოლა, მოსწავლე და მშობელი. საბოლოოდ კი მასწავლებლები წლიურ და სემესტრულ ანგარიშებში ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, მოთხოვნებ ჩამოყალიბებულია მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე, მოსწავლეებსა და მშობლებს აქვთ ინფორმაცია იმ შესახებ, თუ რის მიხედვით ფასდება შესრულებული დავალებები. ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლებ ითქვას, რომ სკოლა ორიენტირებულია, ყველა საგნობრივი კათედრა ხელმძღვანელობდეს შეფასებ ერთი და იმავე პრინციპებით. შეფასების პროცესის ვალიდურობისა და სამართლიანობ

	განსამტკიცებლად (და დასარწმუნებლად, რომ პროცესი ნამდვილად ძირითადი პრინციპების დაცვი მიმდინარეობს) კათედრა განიხილავს მოსწავლეებთან ფოკუს-ჯგუფის ჩატარების იდეას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს დეტალურად შემუშავებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც გამოიყენება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს შეფასების კრიტერიუმებისა და მოლოდინების გასაზიარებლად. მასწავლებელს ესმის, რომ მოსწავლეებს წინასწარ უნდა გააცნოს შეფასების კრიტერიუმები, რაც ეხმარება მათ სწავლის სწორად დაგეგმვასა და თვითშეფასების განვითარებას. ასეთი მიდგომა ქმნის გამჭვირვალე და სამართლიან გარემოს, სადაც მოსწავლეები კარგად აცნობიერებენ, რაზე ეფუძნება მათი შეფასება. შეფასება ფოკუსირებულია როგორც შედეგზე, ასევე მოსწავლის განვითარების პროცესზე, რაც ზრდის სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა დ სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული დ მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადეს და ნდობა

	მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხ აქტივობების შეფასებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი:

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ნათელ სურათს გვიქმნის იმისას, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა მტკიცედ ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობას;

ბ) სანდოობას;

გ) გამჭვირვალეობას;

დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას.

სკოლას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირნი (კათედრის ხელმძღვანელები, კათედრის წევრები, წამყვანი მასწავლებლები და დირექციის წევრები), რომლებსაც ევალებათ აღნიშნული პროცესების მართვა/კონტროლი.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით:

სკოლაში შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა მოწესრიგებულია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი მტკიცებულებების – შემაჯამებელი დავალებების, შემოქმედებითი ტიპის ნამუშევრებისა და სხვა მასალის – შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით არანაკლებ სამი წლის ვადით. პედაგოგების გამოცდილება და პრაქტიკა ამ პროცესში ადასტურებს, რომ სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება შეფასების მონაცემების დაცვასა და სისტემურ აღრიცხვას. ელექტრონული სისტემის გამოყენება კი პროცესს კიდევ უფრო ამარტივებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხო შენახვასა და ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო/სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის ძშემუსავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები

- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები
- სანობრივი კათედრების სხდომის ოქმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსრეუმენტები
- შეფასების ვერუფიკაციის მექანიზმი
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების რეფლექსიები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- კომპლექსური დავალების ნიმუშები
- განხორციელებული პროექტების ნიმუშები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მიმართულების კურიკულუმებში გაწერილი აქტივობების შესასრულებლად სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გარკვეული რესურსი, რომელსაც საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და შემოქმედებითი დავალებების შესრულებისას. თუმცა საჭიროა მისი განახლება და უკეთ აღჭურვა. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები იყენებენ ვირტუალურ რესურსსაც, სკოლას აქვს კომპიუტერები, ინტერნეტი, და ასევე საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტებისათვის გამოსადეგ იაფ და ხელმისაწვდომ რესურსს, რაც ჩანს წარმოდგენილ ფოტომასალაზე, ასევე, მოსწავლეთა ნაშრომებიდანაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდენილი აქვს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლ რესურსი. კურიკულუმების ჩარჩეობში წარმოდგენილია ძირითადი, გრიფირებული სახელმძღვანელოები და ასევე დამატებითი-ელექტრონული რესურსები,რაც მათ ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში.

	რჩევა: სასურველია საგან გეოგრაფიის კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმებში, სახელმძღვანელო გამოყენებულია, როგორც ძირითადი რესურსი, ის წარმოადგენს მთავარ საყრდენს და უშუალოდ უკავშირდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. კათედრა ასევე იყენებს დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას და მოსწავლეების ინტერესის გაღვივებას. კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული ბმულები საგანმანათლებლო ვიდეოების სახით, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლის შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო)** სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციებში თუ საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს რომ ძირითადი თუ დამხმარე რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა, ელ. რესურსები. მატერიალური თუ ფიზიკური რესურსები ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია , თუ სხვა თანაბრად არის ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისა თუ მასწავლებლისთვის, ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ თითოეულ კაბინეტზე გამოკრულია მათი სარგებლობის წესები და განრიგი, რომლის მიხედვითაც ხდება მათი გამოყენება სკოლის მიერ დამატებით რესურსებად გამოიყენება ტვ სკოლის გაკვეთილები, ხანის აკადემია, საშინაო სკოლა, სსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სახელმძღვანელოები და ბარათები, ილუსტრაციები. ჩანს რომ სკოლაში არსებული ყველანაირი რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლის თუ მასწავლებლისთვის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით, ძირითად რესურსად მიჩნეულია გრიფირებული სახელმძღვანელო, თუმცა სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო ტექსტების გარდა, შერჩეულია თემასთან დაკავშირებული არასავალდებულო ლიტერატურა. მონიშნულია ისეთი

	წერილები, ისტორიული ნარკვევები თუ დოკუმენტური ფილმები, რომლებიც მოსწავლეს ეხმარება ლიტერატურული და ისტორიული პროცესის დაკავშირებასა და სათანადო დასკვნების შემუშავებაში. **ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	მათემატიკის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი და დამხმარე რესურსის ჩამონათვალი და ბმულები (ვიდეო/ფოტო/აუდიო მასალა). რესურსი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ახალი კურიკულუმის შექმნამდე კათედრამ შეაფასოს წინა წლის შედეგები და მათი გათვალისწინებით შექმნან ახალი კურიკულუმი.. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, იკრიბებიან ყოველი სემესტრის ბოლოს და განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში ამ შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** - დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სასწავლო რესურსების შერჩევა ეყრდნობა კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითადი რესურსები მოიცავს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ელ.რესურსს „school.emis.ge".ასევე იყენებენ საერთაშორისო პლატფორმებს: scratch.mit.edu; code.org და ა.შ. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დიფერენცირებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ და საჭიროებისამებრ ცვლიან რესურსებს, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას და კურიკულუმთან შესაბამისობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია, ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე, მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, როგორც ელექტრონულს ასევე მატერიალურს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გაზრდას, საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. **<u>რჩევა:</u>** კურიკულუმებში აისახოს ის რესურსები, რომლებსაც იყენებენ ამა თუ იმ საკითხის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მიმართულების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ საგნობრივ კათრდრებზე განიხილება და საბუთდება იმ დამხმარე რესურსების სანდოობა და ვალიდურობა, რომლებსაც შემდგომში სკოლა იყენებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად. კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში საჭირო დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად და დასაბუთებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. კათედრასთან თანამშრომლობით ვალიდაციის პროცესში ხდება რესურსების შესაბამისობის შეფასება სასწავლო მიზნებსა და უსაფრთხოების სტანდარტებთან, მათი მდგომარეობის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში განახლება ან დამატებითი მასალების უზრუნველყოფა. ასეთი სისტემა უზრუნველყოფს ეფექტურ, ხარისხიან და უსაფრთხო სასწავლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას, მოტივაციას და სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. დამხმარე სასწავლო რესურსებს ირჩევს პედაგოგი, კათედრასთან შეთანხმებით, მოსწავლეთა საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით კლასებისა და საგნების მიხედვით.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში, გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა, იყენებენ დამხმარე მატერიალურ რესურსებს და ელექტრონულ რესურსებს, მაგ. საგანმანათლებლო ვიდეოებს. რესურსების ვალიდაციას ახდენენ კათედრის სხდომაზე, სასწავლო წლის დასაწყისში. დამატებითი რესურსების ჩამონათვალს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურის** სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციიდან ჩანს რომ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები ძირითადი რესურსია და შეთანხმებულია სამინისტროსთან. დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები და მათ შორის ელექტრონული რესურსები, თვალსაჩინოებები, რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა განხილულია საგნობრივ კათედრებზე და შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის სსმ მოსწავლეთათვის შერჩეული რესურსები და თვალსაჩინოებები, რომელიც სწავლის დასაწყისში საგნობრივ კათედრებზე განიხილეს შეათანხმეს სკოლის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსი შერჩეულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდ მხარდაჭერილი საგანმანთლებლო პორტალებიდან და სხვადასხვა აკადემიური გამოცემიდ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. კათედრა შეიმუშავებს სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსებს და ახდენს დამხმარე რესურსების ვალიდაცია /დადასტურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის შეფასებას და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. მასწავლებლები აქტიურად აწარმოებენ რესურსების გამოკვლევას და ირჩევენ მხოლოდ ეფექტურ და მიზნობრივ მასალებს. ვალიდაციის პროცესში გათვალისწინებულია რესურსების შესაბამისობა კურიკულუმთან, მოსწავლეთა საჭიროებებთან და სასწავლო მიზნებთან. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ რესურსები რეალურად ეხმარებიან სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა წარმატებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, რესურსები შეირჩევა გააზრებულად, გათვალისწინებულია მათი ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში. რესურსები წინასწარაა შერჩეული კათედრის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება **200 ან ნაკლები მოსწავლით.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს. საბუნებისმეტყველო მიმართულების მასწავლებლებმა წარმოადგინეს კათედრაზე წინასწარ გაწერილი და შემუშავებული სასწავლო აქტივობები და რესურსები ყველა შესაძლებლობის მოსწავლისათვის, რომლებიც გამოყენებულია შუალედური მიზნების მისაღწევად: დამატებითი ელექტრონული რესურსები, სასწავლო პროცესში გამოიყენებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას (მაგ. სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინ რესურსები, მაგალითად, სიმულაციური პლატფორმები, ტელესკოლის გაკვეთილები).სკოლას გააჩნია შესაბამისი ფართი და სასკოლო ინვენტარი სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად, თუმცა საბუნებისმეტყველო დისციპლინების სასწავლო შედეგების მისაღწევად საბაზო და საშუალო საფეხურზე აუცილებელია, ჰქონდეს შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორია. სკოლას გამოყოფილი აქვს სივრცე ლაბორატორიისათვის, სადაც ტარდება გარკვეული ტიპის კვლევითი და ლაბორატორიული მუშაობები; ლაბორატორიის სრულყოფილი აღჭურვისათვის სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც მითითებულ ვადებში გეგმავს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულ აღჭურვას: • სველი წერტილი კერამიკის ნიჟარით, ქიმიური ჭურჭლის საშრობით; • გამწოვი კარადით აღჭურვა, სადემონსტრაციო მაგიდის დასაფარად შესაძლოა ფოლგის, მინის ან კერამიკული ფილის გამოყენება. • ლაბორატორიაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით სჯობს, განთავსდეს (ქვიშის ყუთი/ცეცხლგამძლე ნაჭერი/ცეცხლმაქრი - ასეთის არსებობის შემთხვევაში) **დაწყებით საფეხურზე - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **საბაზო/საშუალო საფეხურზე- ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილი დამხმარე რესურსები სწავლის მიზნების შესაბამისია. პედაგოგები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამის დამხმარე რესურსებს. სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ მატერიალურ რესურსებს. ინფრასტრუქტურა და მასალები

	სრულად შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობასა და მათი ჩართულობის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ხარისხიანად წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების შესაბამისი მატერიალური რესურსით -სახელმძღვანელოებით, დამატებითი საგანმანათლებლო, მატერიალური რესურსებით. სარგებლობენ ბიბლიოთეკით და ინტერნეტით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურის** სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან შესაძლებელია დავსკვნათ, რომ ორივე საგანში სასწავლო შედეგები და შემოქმედებითი პროცესები უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით, რომელიც მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებითაა უზრუნველყოფილი. სკოლაში არსებული რესურსი ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისათვის სხვადასხვა ღონისძიებები, პროექტების, კონკურსებისა თუ სპორტული შეჯიბრებების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლიდან მოწოდებული ფოტო-ვიდეო მასალით დასტურდება, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმით გათვლისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სპორტის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ

	თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სწავლების ეფექტიანობა ხელშეწყობილია საჭირო ტექნიკური და მატერიალური ბაზით. სასწავლო პროცესი არის უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლების სხვადასხვა ფორმებში. მათთვის გათვალისწინებულია კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა, რათა ჯგუფში თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს ინდივიდუალური და ხარისხიანი სწავლების შესაძლებლობა. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და პრაქტიკული უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი:

სკოლაში არსებული დასაქმებულთა პირადი საქმეები, ასევე, eschool-ის ბაზა ცხადყოფს, რომ სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. მასწავლებელთა უმეტესობას დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენციები, თუმცა ხელშეკრულების საფუძველზე სკოლაში დასაქმებულ სამოქალაქო განათლების მასწავლებლებელს არ აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია (საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის მოთხოვნა).აღსანიშნავია,რომ სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაში, ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე და აქვს გარკვეული მიღწევები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის აპრილიდან სექტემბრამდე სკოლა გეგმავს სამოქალაქო განათლების მასწავლებლის საათებზე კონკურსის გამოცხადებას, საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნას, კონკურსის ეტაპების განხორციელებას და შერჩეულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება

დაწყებით საფეხურზე : ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია

საბაზო/საშუალო საფეხურზე: ინდიკატორი 2.2.2.4. მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- რემედიაციის პროგრამა.
- დასაქმებულთა პირადი საქმე,
- E-school-ის ბაზა.

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
○ ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად:**

სკოლა აწარმოებს კურიკულმის მონიტორინგს და შეფასებას, ისე როგორც ეს აღწერილია მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. კათედრების მიერ შემუშავებულ სასწავლო წლიურ პროგრამას მონიტორინგს უწევს თავად საგნის პედაგოგი-სადიაგნოსტიკო წერებისა თუ შემაჯამებელი დავალებების SWOT ანალიზებისგან მიღებული მიგნებების საფუძველზე; სკოლის დირექცია, ხარისხის მართვის ჯგუფი და კათედრის წევრები კი ურთიერთდასწრებებისა და ერთმანეთთან სასწავლო პროცესის განხილვაზე დაყრდნობით ახდენენ კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას:**

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი მეთოდის გამოყენებით; სადიაგნოსტიკო წერების, საგაკვეთილო პროცესის დროს თითოეულ მოსწავლეზე მასწავლებლის ჩანიშვნები, ურთიერთდასწრების შედეგად გაკეთებული მიგნებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა თუ არაფორმალური განათლებისას მოგროვებული ინფორმაცია/მონაცემები სწავლა-სწავლების შესახებ მუშავდება იმისათვის, რომ მოხდეს აღმოჩენილი გამოწვევების გადაჭრის ეფექტიანი გზების მოძიება, ინტერვენციები კი აისახოს მომდევნო წლის საგნობრივ კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას:**

მასწავლებელთა ინტერვიუებმა, ისევე როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, მოგვცა შესაძლებლობა დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნა იმისათვის, რომ მომხდარიყო სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა. სხვადასხვა საგნის პედაგოგების მიერ წარმოდგენილმა შემაჯამებელი დავალებების ანალიზმა და ინტერვიუებმა გვიჩვენა, რომ დიაგნოსტირების შედეგად მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა და მიგნებების შესაბამისად განახლდა სასწავლო პროგრამა, რათა მოხდეს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა;

- სადიაგნოსტიკო დავალებების ნიმუშები;
- ფოტო-მასალა;
- საგნობრივი წლიური პროგრამა/საგნობრივი კურიკულუმი.

- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- სკოლის თვითშეფასება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს:**

სკოლის სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს:

- სკოლის მოსწავლეები;
- სკოლის მოსწავლეების მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები;
- სკოლის პერსონალი;
- თემის წარმომადგენლები;
- სკოლის დოკუმენტაცია;
- შემოსული დოკუმენტაცია;
- ვიზუალური მასალა;
- ვიდეო მასალა (პერსონალურ მონაცემთან დაცვის შესაბამისად);
- გარემოზე დაკვირვება;

შესაბამისად , სასწავლო პროცესის მრავალასპექტიანი შეფასება ხელს უწყობს სამართლიანი და ობიექტური სურათის შექმნას სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ; მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა აქტიურად იყენებს, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების სისტემას. ამას ცხადყოფს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად კი სკოლა იყენებს მრავალგვარ მეთოდს, როგორც ფორმალური- სადიაგნოსტიკო წერები, შემაჯამებელი თუ პროექტული შინაარსის მქონე აქტივობების/დავალებები, ისე არაფორმალური განათლების ინსტრუმენტებისას, როგორიცაა სასკოლო ოლიმპიადები-სპორტში, შემეცნებითი ექსკურსიები სხვადასხვა საგანში და წრეობრივი/კლუბური მუშაობები (STEM კლუბი, ეკოკლუბი „ეკოსი“). მათგან მიღებული მონაცემები კი იძლევა მოსწავლეთა განვითარების გზის ასახვას მრავალი კუთხით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით:**

სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესის შესაფასებლად სკოლა იყენებს შემდეგ კონტექსტებს: გარემო და ფაქტორი;
შესაბამისად, სკოლა პროცესებისა თუ შედეგების შეფასებისას, შესაფასებელ საკითხებში აქცენტს აკეთებს ზემოხსენებულ კონტექსტებზე: რამდენად არის შემნილი სასწავლო გარემო პოზიტიური, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო, როგორ მოქმედებს სხვადსხვა ფაქტორი სასწავლო პროცეისი ინტენსივობაზე და ა.შ. მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს, როგორც სასკოლო, ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე, რომ შესაბამისად მოხდეს მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. სასწავლო პროცესის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონტექსტად მოიაზრება არაფორმალური განათლება, სკოლაში ყველა საფეხურზე ხორციელდება სასწავლო საგანმანათლებლო პროექტები სხვადასხვა საგნობრივი, სახელოვნებო თუ სპორტული მიმართულებით. განხორციელებული აქვთ სხვადასხვა სახის პროექტები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები, გათვალისწინებული აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, გამოვლენილი სიძნელეების დაძლევის მიზნით ალტერნატიული გზების შეთავავზება/რემედიაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები:**

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდი:
ინტერვიუ;
დაკვირვება;
ფოკუს-ჯგუფი;
დოკუმენტის შესწავლა;
გამოკითხვა;

საგნობრივ სასკოლო პროგრამაში-საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური მიდგომები, რადგან გვხვდება დიფერენცირებული სასწავლო პროექტებიც/შემოქმედებითი ბუნების დავალებები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების

გამოყენების ერთობლიობა კი შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში ახდენს მოსწავლეთა დიაგნოსტირებას. რაც გულისხმობს ტესტური დავალებების საფუძველზე მოსწავლეთა ცოდნა-უნარების შესწავლას. მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის წლიური სასწავლო პროგრამოს-კურიკულუმის განახლებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით:

სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: მასწავლებელი, მოსწავლე/ოჯახის წევრი, გარემო და სხვა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის შეფასება იძლევა სრულ და ამომწურავ ინფორმაციას მის მიმდინარეობაზე; მოსწავლის სშასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს, როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. შემოქმედებითი ბუნების დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. განხორციელებული პროექტები გვაფიქრებინებს, რომ სკოლა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას აგროვებს არა მარტო ფორმალური, არამედ არაფორმალური განათლების გზითაც. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ინტერვიურებისას სკოლის მასწავლებლებმა აღწერეს სკოლის მიერ განხორციელებული პროექტების აქტივობები, დეტალურად ისაუბრეს ამ პროექტის განხორციელების პროცესში სხვადასხვა კათედრების ინტეგრირებაზე, მოსწავლეთა შეფასებაზე და სხვა. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს, აგრეთვე აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი წლიური პროგრამა/საგნობრივი კურიკულუმები;
- პროექტული დავალებების ამსახველი გეგმები, ფოტო მასალა;
- სკოლის facebook- გვერდი;
- წლიური სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას გააჩნია მზაობა, რომ არსებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. მასწავლებლები, დირექციის, ხარისხის განვითარების ჯგუფი და კათედრის წევრთა ურთიერთდასწრებისა და უკუკავშირის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს, თუ როგორ გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 2.4..1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

როგორც ვიზიტის დროს გაირკვა სკოლაში ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება სადიაგნოსტიკო წერები, რომლის გაანალიზების შედეგადაც უკვე იხვეწება განვლილი სასწავლო წლის ბოლოს (ივნისში) შექმნილი საგნობრივი წლიური პროგრამა-საგნობრივი კურიკულუმი. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმში; თემების განაწილება, დროის დათმობა, შემოქმედებითი ბუნების დავალებებში მოაზრებული აქტივობების მოსწავლეთა განვითარების უახლოეს დონესთან შესაბამისობა და სხვა. იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ასევე იგეგმება რემედიაციისათვის სჭირო პროგრამა.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი წლიური პროგრამები/საგნობრივი კურიკულუმები;
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
კათედრის ოქმები;
რემედიაციისათვის შექმნილი პროგრამა;
ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

შეფასების რუბრიკები
მასწავლებლებთან ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი : 08.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თალიკო ჯაყელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დალი თურმანიძე -(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

მაია მერაბიშვილი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

მარიამ ლეკიაშვილი-(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

სოფიკო მჭედლიშვილი-(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ნატალია შაინიძე -(ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

ტოლია კილასონია -(ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

ილონა აკობია - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

მაკა ყიფშიძე -(მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

თამარ ზედგინიძე -(სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ვერა სომხიშვილი-(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი